სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 25 იანვარი 2008 №015 (3239) ფასი 50 თეთრი



ჩვენი სიყვარულის ისტორია

ელენე, კაბარე და რუსების ენა

დღეს 17 წლის ელენე გედევანიშვილი დიდებში თავის მესამე სეზონს და ევროპის ჩემპიონატს იწყებს. ხორვატიის მთავარქალაქ ზაგრებში ქართველი მოციგურავე კენჭისყრით მეექვსე ჯგუფში მოხვდა და 34-ე ნომრად ისრიალებს.

რუსეთიდან ქართველების დეპორტაცია ელენეს ოჯახსაც შეეხო. ისიც გვახსოვს, რუსმა კომენტატორებმა ქართველ გოგონას კბილი რომ გაჰკრეს, რუსეთში ვარჯიში თუ უნდოდა, ან მოქალაქეობა შეეცვალა, ანაც ელემენტარული „პრაპისკა" აეღოო.

რადგან საქართველოში სტანდარტული ყინული არ არის, გედევანიშვილი აშშ-ში წავიდა სავარჯიშოდ. ელენეს მწვრთნელებიც შეეცვალა. გალინა ზმიევსკაია და ელენა ვოდოროზოვა ამერიკაში მცხოვრებმა რომან სეროვმა და ქორეოგრაფმა ნიკოლაი მოროზოვმა შეცვალეს. შეიცვალა პროგრამაც, რომელსაც ქართველი მოციგურავე ნოემბერ-დეკემბერში მსოფლიოს გრან-პრიზე ხვეწდა. ელენემ ასეთ ორ ტურნირზე ისრიალა და ათეულში სტაბილურად ტრიალებდა.

ახლა ელენეს მოკლე პროგრამა „კაბარეზეა" აწყობილი, თავისუფალი პროგრამას კი „სიყვარულის ისტორიის" ჰანგებზე ისრიალებს და იმედია, რუს კომენტატორებს ენაზე აკბენინებს.

ბაჩო სვანიძე

გამოცხადებულის გაუცხადებელი

ხიზანიშვილის ამბავი ჯერაც სალაპარაკოა



ავია თასების მშენია

საქართველოს თასი ისევ „ავიამშენისაა" – ლევან მოსეშვილის ოთხწლიანი ისტორიის მქონე გუნდმა ეს ჯილდო უკვე მესამედ მოიგო.

თსუ ვერ აღმოჩნდა ბოლომდე სასწაულის მომხდენი, თუმცა გზიდან რუსთავული „ენერჯი-ინვესტის" ჩამოშორებით ფინალში გასვლაც უდიდესი წარმატებაა ნუგზარ ჭეიშვილის მებრძოლი გუნდისთვის.

თსუ-მ მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია წინააღმდეგობა „ავიამშენს" და სანამ სამქულიანების ყრის შნო გაჰყვა, მანამდე ინარჩუნებდა შანსს.

„ავიამშენის" უკანა ხაზს გიორგი ნიკოლაძე წინამძღოლობდა, რომელსაც გარჯა ფინალის საუკეთესობითა და, რა თქმა უნდა, უმთავრესი ტიტულით, საქართველოს თასით დაუფასდა.

ცონგაუმარჯოს ჟო-ვილფრედს!

პასპორტით ფრანგმა, იერით მუჰამედ ალიმ სლავი ქალების ხიბლი დაჩრდილა



თუ ვინ იქნება ჟო-ვილფრედ ცონგას მეტოქე სეზონის პირველი სლემტურნირის ფინალში, დღეს გაირკვევა როჯერ ფედერერისა და ნოვაკ ჯოკოვიჩის სუპერმატჩში. დიახ, ჟო-ვილფრედ ცონგა — ამ ორი კვირის წინ ვერავინ იფიქრებდა, ეს 22 წლის განუთესავი ფრანგი, ვისი სახელიც პირველად შარშანდელ უიმბლდონზე გახმოვანდა, მიყოლებით თუ დაჯაბნიდა ელიტარულ ჩოგბურთელებს და ფინალს უწევდა.

ენდი მიურეი, რიშარ გასკე, მიხაილ იუჟნი და, აჰა, გუშინ ცონგამ თვით რაფაელ ნადალი დაჯაბნა. თანაც, მოგებაცაა და მოგებაც — ფრანგმა მსოფლიოს მეორე ნომერს 6:2 6:3 6:2 გადაუარა, მძლავრ მეტოქეს იოტისხელა შანსიც არ მისცა.

ცონგას მორიგმა ბრწყინვალე გამარჯვებამ აშკარად დაჩრდილა ქალთა ნახევარფინალები. არადა, ურიგო მატჩები ნამდვილად არ ყოფილა. მარია შარაპოვამ კვლავ ორი სეტი იმყოფინა, ამჯერად წელმტკივანი ელენა იანკოვიჩის დასაჩაგრად. ხოლო ანა ივანოვიჩმა პირველი სეტის 0:6 წაგების შემდეგ შეუტრიალა თამაში დანიელა ჰანტუხოვას და მომდევნო ორ პარტიაში 6:3 6:4 იმარჯვა.

ფინალი რომ სლავური იქნებოდა, მეოთხედფინალების შემდეგვე იყო ცნობილი და საბოლოოდ სერბულ-რუსული მივიღეთ — შაგვრემანი ანა თეთრი მაშას წინააღმდეგ.

ერთი-ორი ტოპიუტი
ტოპმიოლერმა სია გამოაცხადა



მეკარეები:

გიორგი მაკარიძე (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი);

მცველები:

მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), გიორგი შაშიაშვილი (შტურმი, ავსტრია), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი), კახა კალაძე (მილანი, იტალია), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი);

ნახევარმცველები:

ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლევან ყენია (შალკე, გერმანია), დავით მუჯირი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), გოგიტა გოგუა (ნალჩიკი, რუსეთი), ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), დავით კვირკველია (მ. ზაპოროჟიე, უკრაინა), ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), შოთა გრიგალაშვილი (დინამო), ლევან ცქიტიშვილი (უგუნდო);

თავდამსხმელები:

ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), დავით სირაძე (პადერბორნი, გერმანია), ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი).

საქართველოს ეროვნული ნაკრები 6 თებერვალს 2008 წლის სეზონს გახსნის და „ეროვნულზე“ ლატვიელებს ამხანაგურად უმასპინძლებს.

მატჩისთვის მზადებას ნაკრები 4 თებერვალს დაიწყებს — გუნდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ 15 საათზე შეიკრიბება.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა, რომელიც სწორედ ლატვიელებთან მატჩამდე მოაწერს ფეხბურთის ფედერაციასთან ახალ კონტრაქტს ხელს, ამ მატჩისთვის 24 ფეხბურთელი გამოიძახა.

სანამ სიას გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ გამოძახებულთა შორის არ არის ნაკრების ვიცე-კაპიტანი, ინგლისური „ბლექბერნის“ მცველი ზურაბ ხიზანიშვილი. ეტყობა, მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის შემოდგომაზე მომხდარ კონფლიქტს ძალიან ღრმა ფესვები გაუდგამს.

ტოპმიოლერის სიაში რამდენიმე სიახლეცაა: ჰერ კლაუსმა ეროვნულში პირველად იხმო ზესტაფონელები — გიორგი ხიდეშელი და ბექა გოცირიძე.

შეგახსენებთ, რომ საქართველო — ლატვიის მატჩი 6 თებერვალს 18 საათზე დაიწყება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ხიზანიშვილის საქმე უხიზანიშვილოდ გაირჩევა

გადრი ჯეთილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა ლატვიასთან 6 თებერვლის ამხანაგური მატჩისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა შემადგენლობა გუშინ გამოაცხადა. ტოპმიოლერის 24-კაციან სიაში რაიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მოულოდნელი არაფერია, თუმც კი თვალშისაცემია ის, რომ მწვრთნელმა არ გამოიძახა ინგლისური „ბლექბერნის“ მცველი ზურაბ ხიზანიშვილი, რომელსაც, გეხსომებათ, ცოტა ხნის წინ ხიზანიშვილმა ტოპმიოლერის ნაკრებში თამაშზე უარი თქვა და ამ ამბავს საფეხბურთო სამყაროში საკმაოდ მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. რა მოხდა ამჯერად? ხიზანიშვილის გამოუძახებლობა ძველი უსიამოვნების გაგრძელებაა თუ უბრალოდ, წმინდა სპორტული საკითხი — ზურას საქმეში გასარკვევად გუშინვე დავუკავშირდით და... მან ნაკრების შემადგენლობა სწორედ ჩვენგან შეიტყო...

გადრი ჯეთილაძის ფოტო

— მე არაფერი ვიცი, ჩემთან არავის დაურეკავს და არაფერი უთქვამთ. ეტყობა, ტოპმიოლერმა არ ჩათვალა საჭიროდ ჩემი გამოძახება. არ დამიძახა და ნუ დამიძახა, მე რა უნდა ვქნა?!

— **რომ გამოეძახე, მაშინ რა იქნებოდა?**

— რა უნდა ყოფილიყო, ალბათ დავილაპარაკებდით და ჩვენს შორის ურთიერთობაც გაირკვეოდა. მიწვევას კი, ცხადია, მივიღებდი!

— **როგორ ფიქრობ, რატომ არ გამოგიძახეს ეროვნულ გუნდში?**

— ვერაფერს გეტყვით, ფაქტი ის არის, რომ ჩემთვის სიტყვაც არავის უთქვამს.

— **ამასობაში კი „ბლექბერნთან“ კონტრაქტი გააგრძელე...**

— დიახ, სამი წლით გავაგრძელე, კლუბმა კარგი პირობები შემომთავაზა და კმაყოფილი ვარ.

— **თუმცა ამ სეზონში სტაბილურად ველარ თამაშობ...**

— გუნდს რომ არ ვჭირდებოდე, კონტრაქტს არ გამიგრძელებდნენ. იმედი მაქვს, ისევ დავიმკვიდრებ ადგილს „ბლექბერნის“ ძირითად შემადგენლობაში.

— კლაუს ტოპმიოლერთან და მის თანაშემწე რალფ მინგესთან დაკავშირება გუშინ ვერ მოვახერხეთ, თუმცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს შევეხმიანეთ და ხიზანიშვილსა და ნაკრებზე ორიოდ სიტყვა ვთხოვეთ...

— ჩვენ ადრეც ვთქვით, რომ ზურაბ ხიზანიშვილის გახმაურებულ განცხადებასთან დაკავშირებით ეროვნული გუნდის პირველსავე შეკრებაზე ვიმსჯელებდით და ეს ახლა მოხდება — ლატვიასთან მატჩის წინ ნაკრების მწვრთნელები, ფეხბურთელები და ფედერაციის ხელმძღვანელები ერთად დავსხდებით და ამ საკითხზე ვისაუბრებთ. კონკრეტულად ამ მატჩისთვის ხიზანიშვილის არგამოძახების მიზეზზე ტოპმიოლერთან არ მისაუბრია. ისე კი, ლატვიასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოძახებულ შემადგენლობაში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის გვარიც არის და ამ ეტაპზე მწვრთნელს, ცხადია, მათი საქმეში ნახვა აინტერესებს. ზურაბ ხიზანიშვილის შესაძლებლობები კი ტოპმიოლერმა ძალიან კარგად იცის.

კოტა ინასარიძე

ხმაურიანი გელაშვილი
ზესტაფონი ბელეკში სიახლით გაემგზავრა

ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის ჯერჯერობით ყველაზე ხმაურიანი ქართული ტრანსფერი შედგა — „ზესტაფონმა“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ 22 წლის თავდამსხმელ ნიკოლოზ გელაშვილთან.

გელაშვილი მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლეა. მისი თამაშით ეროვნული ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერიც დაინტერესდა და რამდენჯერმე მიიწვია ეროვნულ გუნდში.

„ზესტაფონი“ გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ დატოვა, რომელიც იმერულ კლუბში ივჯარით თამაშობდა და გელაშვილიც კლუბის ხელმძღვანელობამ მის შემცვლელად შეიძინა. ახალწვეული გუშინვე გუნდს თურქულ შეკრებაზე გაჰყვა.

შეკრებაზე წასული „ზესტაფონი“ ბელეკში, სასტუმრო „არკადიაში“ დაბინავდა და 1-8 თებერვალს „ბელეკის თასის“ გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. ტურნირში იმერლებთან ერთად რუსეთის, უნგრეთის, რუმინეთის, სლოვაკეთისა და ყაზახეთის 8 გუნდი ითამაშებს.

„ზესტაფონი“ A ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები ვლადიკავკაზის „ალანია“, რუმინული „პანდურიი“ და უნგრული „დებრეცენი“ იქნებიან.

„ზესტაფონის“ მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ თურქეთში ეს ფეხბურთელები იახლა:

მეკარეები: *გრიგოლ ჭანტურია, როინ კვასხვაძე, ნიკა ჯალაღონია;*

მცველები: *სევასტი თოდუა, შალვა ღონლაძე, ედიკ საჯაია, როინ ონიანი, გიორგი ხიდეშელი, უჩა ლობჟანიძე, გიორგი ხუმარაშვილი, ზურაბ ბახტურიძე;*

ნახევარმცველები: *ჟილვან ვიეირა, ნიკა კვასხვაძე, მურთაზ დაუშვილი, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, პოლ კესანი, ალექსი ბენაშვილი, ლაშა საცერაძე, თორნიკე გორგიაშვილი, გიორგი გავაშელაშვილი, ტარიელ სოფრომაძე;*

თავდამსხმელები: *ზურაბ იონანიძე, ეტიენ ბიტოო, ბექა გოცირიძე, ნიკოლოზ გელაშვილი.*

გუნდს არ გაჰყოლია ჟონატას ტორესი, რომელიც „ზესტაფონის“ ფარმ-კლუბთან ერთად მოემზადება და გუნდს თურქეთიდან დაბრუნების შემდეგღა შეუერთდება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გიორგი გაბაშვილი მინისტრი აღარ არის

საქართველოს სპორტისა და კულტურის მინისტრი შეიცვალა — გიორგი გაბაშვილის ნაცვლად ამ პოსტს ნიკა ვაჩეიშვილი დაიკავებს.

ეს ინფორმაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ გუშინ გაახმაურა.

ვაჩეიშვილი აქამდე გაბაშვილის მოადგილე გახლდათ, ოფიციალურად კი ეს ამბავი მას შემდეგ გადაწყდება, რაც ცვლილებას პარლამენტი დაამტკიცებს.

ძაბა შალამბერიძე

ინგლისი
კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
ფერსლი 0:0 სტივენეიჯი

თურქეთი
თასის ჯგუფური ეტაპი
B ჯგუფი. IV ტური
დემირი 2:1 მანისა
ტრაბზონი 3:2 გენჩლერი

ჰოლანდია
ერედივიზიონი
XXI ტური
ფეიენოორდი 3:1 ტვენტე

აფრიკის თასი 2008
A ჯგუფი. II ტური
განა 1:0 ნამიბია

საფრანგეთი
I დივიზიონი. XXII ტური
ბორდო 1:0 სენტ ეტიენი

მსპანეთი
თასის 1/4 ფინალი
პირველი მატჩები
რასინგი 2:0 ბილბაო
ვილიარეალი 0:0 ბარსელონა

იტალია
თასის 1/4 ფინალი. I მატჩი
ლაციო 2:1 ფიორენტინა

ამხანაგური მატჩები
ერაყი 1:1 იორდანია
ფრანკფურტი 2:2 აუგსბურგი
ლიტველი 0:2 ზენიტი
სპარტაკი 0:3 დინამო (კ)

გიორგი განუგრავას ბოლესლავი: 1+2

კონტრაქტი დღეს-ხვალ გაფორმდება

„ბიორგი განუგრავასთან კონტრაქტი დღეს ან ხვალ გაფორმდება. გადაწყვეტილია, რომ ხელშეკრულება 1+2-წლიანი იქნება. გუნდის მწვრთნელ ზდენეკ შჩასნის ეს ბიჭი მოსწონს, ახალგაზრდა და პერსპექტიულია“ — გვითხრა „ბოლესლავის“ უფროსმა, რომელსაც გუშინ ჩეხეთში დავუკავშირდით.

შეგახსენებთ, რომ „ბოლესლავი“ კვიპროსულ ლარნაკაშია შეკრებაზე, გიორგი კი ვიზის უქონლობის გამო ვერ წაჰყვა ახალ გუნდს და ამჟამად ახალგაზრდულ შემადგენლობასთან ერთად ვარჯიშობს, თუმც როგორც შევიტყვეთ, შესაძლოა, ორიოდ დღეში კვიპროსზეც ჩავიდეს.

19 წლის ქართველი ნახევარმცველი,-ვისაც ეროვნულ ნაკრებში 10 მატჩი ჩაუტარებია, „ბოლესლავს“ იანვრის დასაწყისში შეუერთდა და ორ ტესტ-მატჩშიც ითამაშა, სადაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

„ბოლესლავი“ ჩეხეთის გამბრინუსლიგაში მეათე ადგილზეა, თუმც შარშან და შარშანწინ მეხუთეზე ქვემოთ არ ჩამოსულა, უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზეც ითამაშა.

ილია ნანოგაშვილი

ლოკომოტივი ტირანას ვეღარ დაუსხლტა

ფრე და წაგება ქემერში

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თებერვალში განახლდება, მანამდე კი გუნდები შეძლებისდაგვარად ემზადებიან სამეორეწრეოდ.

თბილისის „ლოკომოტივი“ 19 იანვარს თურქეთში გაემგზავრა შეკრებაზე და პატარ ქალაქ ქემერში დაბინავდა.

გიორგი კიკნაძის გუნდმა უკვე ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა.

თბილისელები ჯერ თურქეთის პირველლიგელ „თექიროვასფორს“ დაუზავდნენ (1:1) — ჩვენები აგებდნენ და ანგარიში ახალწვეულმა გიორგი ქუცურუამ გაათანაბრა.

გუშინ კი „ლოკომოტივი“ ალბანურ „ტირანას“ შეხვდა და 0:1 დათმო.

ალბანელები პირველივე წუთებზე დაწინაურდნენ და გიორგი კიკნაძის გუნდმა თამაშის გადარჩენა ვეღარ შეძლო, არადა, იმავ ქუცურუას ამ მატჩშიც შეეძლო გატანა — მისი დარტყმული ძელს მოხვდა.

„ლოკომოტივის“ სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: *მ. ალავიძე, ქუხილავა, გუშარაშვილი, გ. კვახაძე, დ. ფოფხაძე, სამხარაძე, ქუცურუა, გულორდავა, ბუდაღაშვილი, ბახტაძე, ალავერდაშვილი.*

ამ მატჩში ტრავმების გამო ვერ ითამაშეს ალექსანდრე კაიდარაშვილმა და ზვიად ჩხეტიანმა, რომლებიც „ლოკომოტივმა“ ამ ზამთარში გადაიყვანა ახალციხის „მესხეთიდან“.

თბილისელები ამ დღეებში ტესტ-მატჩს კიდევ გეგმავენ, 2 თებერვალს კი საქართველოში დაბრუნდებიან.

ნუკრი ლოლაძე

„რევაზ, პრესინგი...“, „გელა, დასწრებაზე“... რუსთავის „ოლიმპის“ უკრაინელი თავკაცის ანატოლი პისკოვეცის ემოციური და მჭექი შეძახილები სანკტ პეტერბურგის დარბაზებშიც გაიგეს. პისკოვეცი საქართველოს ჩემპიონატშიც ერთ-ერთი გამორჩეულია ამ მხრივ და, აბა, რუსეთში რა გააჩუმებდა. ეგ კი არა, ბოლო მატჩში (ბატეს-თან 1:2) მსაჯმა სათადარიგოთა სკამიდანაც გააძევა.

„ოლიმპი“ „თანამეგობრობის თასს“ მეოთხედფინალში დაემშვიდობა, არადა, ერთი შეხედვით, კარგი შანსი ჰქონდა, უფრო მეტისთვის მიეღწია. პისკოვეცთან ინტერვიუ რამდენიმე დღის წინაც შემოგთავაზეთ, თუმცა ახლა მას უკრაინული „კომანდა“ ესაუბრა და ვფიქრობთ, საინტერესოა, რა უთხრა „ოლიმპის“ თავკაცმა თავის თანამემამულე ჟურნალისტს...

ქართული კლიმატი და უკრაინული სიფიცხე

ანატოლი პისკოვეცი: ჩვენი მილიონი ჩვენთან მილიონობს

— როცა „ოლიმპის“ ხელმძღვანელობა დამიკავშირდა, მუშაობის დაწყებას ვაპირებდი — სეზონი ახტირსკის „ნეფტიანიკის“ დუბლებთან უნდა დამეწყო. მერე რუსთაველთა თამაშს დავესწარი თბილისის „დინამოსთან“ და მეორე დღეს კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე.

— „ნეფტიანიკის“ ხელმძღვანელობასთან პრობლემა არ შეგქმნიათ?

— კლუბის პრეზიდენტს ვესაუბრე და ერთმანეთს ცივილიზებულად დავშორდით. ფინანსურად რაღაც კი მოვიგე, მაგრამ ჩემთვის მთავარი მაინც ის იყო, რომ უმაღლესი ლიგის გუნდს ჩავუდექი სათავეში.

— როგორც წესი, მთავარი მწვრთნელი ასისტენტებად თანამემამულეებს იწვევს, თქვენ კი, საქართველოში მარტო ჩახვედით...

— ამ მხრივ, საწუწუნო არაფერი მაქვს, რადგან ჩემს ქართველ თანაშემწეებს უკრაინაში უთამაშიათ — ვარლამ კილასონია „დნეპრში“ იყო, მეკარეთა მწვრთნელი გიორგი ბაბუაძე კი — შეპეტოვკის „ტემპში“.

— რას წარმოადგენს „ოლიმპი“? საქართველოს ფარგლებს გარეთ უცნობი გუნდის ჩემპიონობა ბევრისთვის გასაკვირი იყო...

— არანაირი ისტორია, არანაირი ტრადიცია, ეს კლუბი მხოლოდ სამი წლის წინ შეიქმნა. ისე კი, რუსთავი საფეხბურთო ქალაქია, თუმცა ჩემ ჩასვლამდე აბსურდული სიტუაცია შეიქმნა — გუნდი თბილისში ცხოვრობდა, თბილისში ვარჯიშობდა, რუსთავში კი მხოლოდ მატჩების ჩასატარებლად ჩადიოდა. ამას მაშინვე შევეწინააღმდეგე. ვთქვი, რომ რუსთავის გუნდი უნდა ვყოფილიყავით და პირობები ადგილზე გვქონოდა. მოვაწყვეთ სასტუმრო, გავხსენით კვების ბლოკი... ბიჭებიც რუსთავში დარჩენას შეეგუვნენ.

— რა თანხას შეადგენს „ოლიმპის“ ბიუჯეტი?

— უკრაინისა და რუსეთისთვის ეს სასაცილო თანხაა — ერთი მილიონი დოლარი. თუმცა საქართველოსთვის საკმაოდ დიდია.

— ენობრივი ბარიერი უკვე დაძლიეთ? დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში ხომ იშვიათად საუბრობენ რუსულად, განსაკუთრებით ახალგაზრდები...

— არსებობს გარკვეული პრობლემები. საერთოდ, მუშაობისას აუცილებლობად მივიჩნევ მოთამაშეებთან სრულ კონტაქტს. ახლა გუნდში ხუთი ფეხბურთელი მყავს, რომლებიც რუსულად ვერ საუბრობენ და თეორიული მეცადინეობისას რუსულის მცოდნე ფეხბურთელებს ვთხოვ, ჩემი ნათქვამი გადაუთარგმნონ. ამ მხრივ, გარკვეული გამოცდილებაც მაქვს — 1993 წელს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ვმუშაობდი. მაშინ, ვალერი ლობანოვსკის კვალზე, იქ ჩვენი მწვრთნელების მთელი ჯგუფი გაემგზავრა. მე დუბაის „ალ-ახლის“ ვწვრთნიდი. დამინიშნეს თარჯიმანი, რომელსაც ფეხბურთზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯებოდი. შემდეგ კი ერთი არაბი გამოჩნდა, რომელსაც კიევის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული და მუშაობაც უფრო ნაყოფიერი გახდა. შემდეგ იყო აზერბაიჯანი, სადაც „ინტერის“ ფარმ-კლუბს ვწვრთნიდი. იქ რუსული გაცილებით ცუდად იციან, ვიდრე საქართველოში.

— „ოლიმპში“ გასინჯვაზე უკრაინის ჩემპიონატში მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელი იმყოფება. რომელიმესთან კონტრაქტის გაფორმება თუ გაქვთ უკვე გადაწყვეტილი?

— იანვრის პირველ ნახევარში, მოსამზადებელი შეკრება ალუშტაში გავიარეთ, სადაც რვა მოთამაშე გამოვცადე — კოლომეიჩენკო, ოლეინი, პატულა, ფედორჩენკო, ომელიანოვი, სტეცკო, კოვალევსკი და პოპოვიჩი. სხვათა შორის, პოპოვიჩისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ლუგანსკის „ზარიას“ თავკაც ალექსანდრ კოსევიჩს. თუმცა ჯერ ნამდვილად არ შემიძლია ვთქვა, ვინ დარჩება ჩვენს გუნდში.

— სამი წლის წინ „კრივბასი“ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო დატოვეთ. ახლა როგორ გრძნობთ თავს?

— კრივოი როგში სულ თავისტკივილი მაწუხებდა. როგორც გაირკვა, ეს ადგილობრივი კლიმატის ბრალი იყო. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამას არავის ვუმხელდი, თუმცა ერთ დღეს გონება დავკარგე და ორი თვე საავადმყოფოში გავატარე. კლიმატის შეცვლამ კი შედეგი გამოიღო. ახლა თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მაისში 60 წლის გავხდები და იმედი მაქვს, კიდევ ათი წელი შევძლებ მუშაობას.

პროფლიგამ თითი დააქნია

მეშახტეს და ფაზისს მოკვეთა ემუქრებათ

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ პირველი ლიგის დასავლეთ ზონაში მოთამაშე რაჭის „ფაზისს“ და ტყიბულის „მეშახტეს“ 31 იანვრამდე მისცა ვადა, რათა ამ კლუბებმა საწევრო თანხის დავალიანება დაფარონ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, პროფლიგის გამგეობის სხდომაზე გავა მათი ჩემპიონატიდან მოხსნის საკითხი.

პროფლიგის პრესსამსახურის ცნობით, ამ გუნდებმა საწევრო თანხის ნაწილი სეზონის დაწყებამდე შეიტანეს, დარჩენილ ნაწილს კი ვეღარ იხდიან.

კახა შალამბერიძე

შოთა არველაძე 85-ე მეგოლეა

შოთა არველაძე მოქმედ ფეხბურთელთა შორის უმაღლეს ლიგებში გატანილი გოლებით მეხუთე ადგილზეა, მხოლოდ გვატემალაში, ესტონეთსა და ასეთ ქვეყნებში მოთამაშეები უსწრებენ.

ყველა დროის მეგოლეთა შორის კი ესპანური „ლევანტეს“ ქართველი ფორვარდი 85-ეზეა. 426 მატჩში 263 გოლი — ასეთია შოთა მონაგარი, რომელსაც უკვე 7 თვეა, ტრავმის გამო ველარ აუმჯობესებს.

სია ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა და, ცხადია, პირველ ადგილზე „ფეხბურთის მეფე“ პელეა — მას 560 შეხვედრაში 541 ბურთი შეუგდია.

აღსანიშნავია, რომ დიეგო მარადონა 93-ე ადგილზეა და ოთხი გოლით ჩამორჩება არველაძეს.

სასიხარულოა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან შოთა არველაძის მონაგართან ახლოსაც ვერავინ მიდის.

ახლა კი ბომბარდირთა ტოპ-ათეულს გთავაზობთ:

1. პელე (ბრაზილია)	560	541	(1957-1977)
2. იოჟეფ ბიკანი (ჩეხოსლოვაკია)	341	518	(1931-1955)
3. ფერენც პუშკაში (უნგრეთი)	533	511	(1943-1966)
4. რომარიო (ბრაზილია)	612	489	(1985-2007)
5. რობერტო „დინამიტი“ (ბრაზილია)	758	470	(1971-1992)
6. იმრე შლოსერი (უნგრეთი)	318	417	(1905-1928)
7. ჟიულა ჟენგელერი (უნგრეთი)	394	416	(1935-1952)
8. ჯეიმს მაკგრორი (შოტლანდია)	408	410	(1922-1938)
9. ზიკო (ბრაზილია)	596	406	(1971-1994)
10. გერდ მიულერი (გერმანია)	507	405	(1965-1981)

კვირკველია ლატვიამდე ესპანეთში ივარჯიშებს

ლატვიის ნაკრებთან 6 თებერვლის ამხანაგური მატჩის ჩატარებამდე საქართველოს ნაკრების მარცხენაფლანგელი დავით კვირკველია ესპანეთში ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ ერთად გაემგზავრა. უფრო სწორად, გუნდს ბორისპოლის აეროპორტში შეუერთდა, საიდანაც ჯერ მილანში, შემდეგ კი მალაგაში ჩაფრინდება.

ზაპოროჟიელები ესპანეთში საკონტროლო მატჩებსაც გეგმავენ და კვირკველია სანაკრებო თამაშამდე რამდენიმე შეხვედრის ჩატარებასაც მოასწრებს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გვაზავას უზბეკური გოლი

პირველი საკონტროლო მატჩი გამართა თურქულ შეკრებაზე მყოფმა ვლადივოსტოკის „ლუჩ ენერგიამ“, რომლის შემადგენლობაშიც ლევან გვაზავამ ითამაშა და გოლიც გაიტანა.

ვლადივოსტოკელებმა 3:1 მოუგეს უზბეკურ „ნასაფს“, გვაზავამ კი თავისი გუნდის მესამე გოლი შეაგდო.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ანჩელოტიმ კალაძის შეცდომა დაინახა

გუშინწინ იტალიურმა „მილანმა“ სერია A-ს გადადებულ შეხვედრაში „ატალანტასთან“ ბერგამოში 1:2 წააგო.

„მეორე გოლი კახა კალაძის შეცდომით გავიდა — მას სველ მინდორზე ფეხი დაუცდა და მეტოქემაც ამით ისარგებლა, თუმც, ცხადია, შეიძლება, ეს ყველა ფეხბურთელს დაემართოს. ცუდი ისაა, რომ ეს შეცდომა ძვირად დაგვიჯდა“ — თქვა კარლო ანჩელოტიმ.

სხვათა შორის, ეს იყო კალაძის 160-ე მატჩი სერია A-ში.

მეორე სეზონია, კოკა მიკუჩაძე ისრაელის ჩემპიონატის ლომიტ-ლიგაში (რანგით მეორე) თამაშობს. შარშან იგი ბერშევას „ჰაპოელის“ მეგოლე გახლდათ, წლეულს კი ნაზარეთის „ჰაპოელშია“, რომელიც ბოლო ადგილზეა და, შესაძლოა, მიკუჩაძემ სულაც უახლოეს დღეებში გამოიცვალოს გუნდი...

ჰაპოელელ კოკას ჰაპოელი უნდა

მიკუჩაძე ფანჯარაში იხედება

„სამწუხაროდ, ნაზარეთში არ არის საფეხბურთო სიტუაცია. ხალხი სტადიონზე მოსასვლელად თავს არ იკლავს. საშინაო თამაშებზე დაახლოებით 1 500 კაცი დადის, ამ დროს კი ჩემს ყოფილ კლუბ ბერშევას „ჰაპოელის“ მატჩებზე საშუალოდ 8 000 მაყურებელი იყო“ — გვითხრა მიკუჩაძემ, რომელსაც გუშინ ნაზარეთში დავუკავშირდით.

სხვათა შორის, ბოლნისის „სიონის“ ყოფილმა ბომბარდირმა ბერშევას „ჰაპოელს“ ამ სეზონში სტუმრად თითქმის მარტომ მოუგო — ჯერ საგოლე პასი მიითვალა, ბოლო წუთზე კი გამარჯვების გოლი გაიტანა.

„ბერშეველმა გულშემატკივრებმა კარგი დახვედრა მომიწყვეს. ძალიან მიხაროდა, რომ ჩემს სახელს ყვიროდნენ. იმ მატჩამდე ჩვენი გუნდის მწვრთნელთან პატარა უთანხმოება მქონდა და ძირითადში არ დამაყენა. შეცვლაზე შევედი და ბოლოს გადამწყვეტი გოლი რომ გავიტანე, მაყურებელმა ტაში დამიკრა. არადა, ნაზარეთის „ჰაპოელი“ ბერშეველებზე სუსტია. ისინი უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძვიან“.

კოკას ნაზარეთელებთან კონტრაქტი ივნისის ბოლომდე აქვს, მერე კი აუცილებლად გამოიცვლის გუნდს. თუმც, როგორც თვითონ გვითხრა, შესაძლოა, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დასრულებამდეც წავიდეს.

„31 იანვრამდე ცოტა დარჩა, მაგრამ ვიცი, რომ ისრაელის უმაღლესი ლიგის ერთი და ლომიტ-ლიგის სამი გუნდი მიწვევს, მათ შორის კი ყველაზე რეალურები ჰაიფას „ჰაპოელი“ და ბერშევას „ჰაპოელია“. ისე, აქ უმაღლეს და ჩვენს ლიგას შორის, ფაქტობრივად, არანაირი განსხვავება არ არის. დაახლოებით ერთი კლასის გუნდებია, პრესა და ტელევიზიაც თანაბარ ყურადღებას აქცევს“.

მიკუჩაძემ ამ სეზონში 11 მატჩში 3 გოლი გაიტანა, ნაზარეთის „ჰაპოელი“ კი ლომიტ-ლიგის აუტსაიდერია.

„უკეთეს გუნდში მინდა გადასვლა, ამის შანსიც მაქვს და მინდა, ეს უახლოეს დღეებში მოხდეს“.

ილია ნანობაჯვილი

ჯაკობია და ქართველობა

ლაშა ჯაკობია და პოლტავის „ვორსკლა“ მეორე თურქულ შეკრებაზე გაემგზავრნენ. პირველი შეკრების შემდეგ ჯაკობია სამდღიანი შვებულებით თბილისში იმყოფებოდა და გუნდს თურქეთში შეუერთდა.

„ვორსკლას“ ანთალიაში 3 საკონტროლო მატჩი აქვს დაგეგმილი და აქედან ორში ჯაკობიას თანამემამულეების წინააღმდეგ მოუწევს თამაში — პოლტაველები სპარინგებს ამისულაშვილ-გოგუას „ნალჩიკთან“ და დვალ-კორღალიძე-პარამონოვ-კოხრეიძის მოლდოვურ „დჩიასთან“ გამართავენ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კარლ ცაისი მგელმა შეჭამა

იენის „კარლ ცაისმა“ საკონტროლო მატჩი გამართა ბუნდესლიგელ „ვოლფსბურგთან“ და 3:4 წაგო. არადა, პირველი ტაიმის შემდეგ 3:1-ს იგებდა.

იენელ გიორგი ონიანს ტრავმის გამო არ უთამაშია, ილია კანდელაკი 46-ე წუთზე შევიდა მოედანზე, ხოლო გიორგი სეთურიძე მწვრთნელმა მხოლოდ ბოლო ექვსი წუთი დატვირთა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სირაძემ ნაკლი და ტესტი გატეხა

როგორც იქნა, პირველი საკონტროლო მატჩი მოიგო დავით სირაძის „პადერბორნმა“. მეორე ბუნდესლიგის აუტსაიდერებს ქვედალიგელი „ბორჰენის“ დამარცხება არ გასჭირვებიათ — 3:0.

ტრავმის შემდეგ სირაძეს მწვრთნელები დიდად არ ტვირთავენ და ამ მატჩშიც 68-ე წუთზე შეუშვეს მოედანზე („პადერბორნი“ 2:0-ს იგებდა), თუმც მცირე დროში თავი ვერაფრით გამოიჩინა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ყუბანს ჭაბუკმა ქართველმა ჩააკითხა

19 წლის ლევან ჯღარკავა კრასნოდარის „ყუბანში“ ისინჯება.

ეს ფეხბურთელი შარშან ლატვიურ „ვენტსპილსში“ გახლდათ, თუმც ძირითად გუნდთან ერთად მხოლოდ ვარჯიშობდა, თამაში კი დუბლებში უწევდა.

მანამდე ჯღარკავა ასევე რუსეთის ერთ-ერთ ქვედალიგელ გუნდში ირიცხებოდა.

და ერთიც: ლევანი ამპლუით მარცხენა ნახევარმცველია.

ილია ნანობაჯვილი

მოდებაძემ შანსი გოლით გაზარდა

რუსული პრემიერლიგის ახალი სეზონი, შესაძლოა, კიდევ ერთი ქართველით გამდიდრდეს — პერმის „ამკარში“ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ყოფილი თავდამსხმელი ირაკლი მოდებაძე ისინჯება.

მოდებაძემ „ამკარის“ ორ საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა და გოლითაც გამოირჩა.

პერმული გუნდი გუშინწინ ყაზახურ „კაირატს“ 1:1 ეთამაშა და მარცხს სწორედ მოდებაძის გატანილი ბურთით გადაურჩა — მეორე ტაიმის დასაწყისში ირაკლიმ კარგად ითამაშა დასწრებაზე და ანგარიშიც გათანაბრა. გუშინ კი პერმელებმა პოლონურ „ზაგლებიეს“ 1:0 მოუგეს და მოდებაძემ პირველი ტაიმი ითამაშა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

თეთრაძემ კაცები და ქალები შეკრიბა

მახაჩყალის „ანჟის“ მთავარმა მწვრთნელმა ომარ თეთრაძემ მორიგ შეკრებაზე თურქეთში წაიყვანა გუნდი და პირველი კვირის განმავლობაში ფეხბურთელებს ცოლების წაყვანის უფლებაც დართო.

რუსული „სპორტ-ექსპრესის“ ცნობით, თეთრაძე ჭკვიანურად მოიქცა და ფეხბურთელების გულები მოიგო.

შეგახსენებთ, რომ „ანჟიში“ ხუთი ქართველია: მიხეილ აშვეთია, ვალერი აბრამიძე, რევაზ ჯიქია, გოჩა ხოჯავა და ზურაბ არზიანი.

კახა შალამბერიძე

გვინეელი ბობო ბალდე (J&S) და მაროკოელი მონსეფ ზერკა

ბრძოლა ბოლომდეა

მაროკომ ბოლო ტური გაირთულა

აფრიკის თასი 2008
A ჯგუფი. II ტური

გვინეა 3:2 მაროკო

1:0 ფეინდუნო (11), 2:0 ბანგურა(59), 2:1 აბუშერუანი (60), 3:1 ფეინდუნო (63პ), 3:2 უადუ (90)

გვინეა: კამარა, ფეინდუნო, ი. კამარა (ზაიატე 81), მ. სისე, ბალდე, მანსარე საკო 78), სილა, ბანგურა, იულა (კ. სისე 77), კალაბანე, ჟაბი

მწვრთნელი: რობერ ნუზარე

მაროკო: ფუამი, ბასერი, უადუ, ერბატი, კისი, სეკტიუი (შამახი 63), ზერკა (ელ მუბარქი 80), ხარჯა (აბუშერუანი 55), საფრი, ჰაჯი, ელ კადური

მწვრთნელი: ანრი მიშელი

გაფრთხილება: სისე, იულა, ჟაბი

გაძევება: ფეინდუნო (67)

მსაჯი: ჯერომ დამონი (ს.აფრიკა)

მაროკოელები მოედანზე პირველი ტურის გმირის, სუფიანე ალუდის გარეშე გავიდნენ. ამ ფეხბურთელმა, შეგახსენებთ, ნამიბიას სამი გოლი გაუტანა, მაგრამ მუხლიც იტკინა და ჯგუფის მესამე მატჩსაც გამოტოვებს.

გვინეამ კი განასთან დამარცხებული შემადგენლობიდან სამი ფეხბურთელი შეცვალა და სწორადაც, გაუმართლა — პასკალ ფეინდუნომ საჯარიმო დარტყმით ბურთი ცხრიანში ჩაჭედა.

და რა ხდება ამ დროს სტადიონზე? BBC-ის რეპორტიორი პირს ედვარდსი ასე აღწერს: „სტადიონი სანახევროდ სავსეა, ასე, 10 ათასი კაცი იქნება, მაგრამ საშინელი ხმაურია. ოღონდაც, თამაშს არავინ უყურებს. როგორც ჩანს, ისინი დღის მეორე მატჩს, განა — ნამიბიას“ ელოდებიან, რომელიც აქვე ჩატარდება.“

მეორე ტაიმი დაიწყო. მაროკო აშკარად უკეთ გამოიყურება, ვიდრე შესვენებამდე. იუსუფ ჰაჯის ბრწყინვალე მომენტიც შეექმნა და... მაროკომ მეორე გოლი გაუშვა. ისმაელ ბანგურამ, კიევის „დინამოს“ თავდამსხმელმა, ღონივრად დაარტყა და 2:0.

წესით და რიგით, ამ გოლს მაროკოელები თუნდაც მცირე ხნით უნდა გაეტეხათ, მაგრამ აი, რა მოხდა: ზუსტად ერთ წუთში შეცვლაზე შესულმა აბუშერუანმა ერთი გოლი გაქვითა.

კიდევ სამი წუთიც და, სულეიმან იულა მაროკოელთა საჯარიმოში წაიქცა და პენალტის შესასრულებლად ამ მატჩის პირველი გოლის ავტორი, გვინეელთა კაპიტანი პასკალ ფეინდუნო მივიდა.

მივიდა და გაიტანა, ოღონდ კიდევ ოთხ წუთში წითელი ბარათიც მიიღო და გუნდი უთავოდ დატოვა: ამინ ერბატს ჩასცხო და ტურნირის პირველი გაძევებული ფეხბურთელიც გახდა.

ამ რამდენიმეწუთიანი თრილერის მერე თამაში შედარებით მდორე კალაპოტში ჩადგა, თუმცა მაროკო უფრო აქტიურად გამოიყურებოდა.

მაროკო პენალტსაც ითხოვდა: ბობო ბალდეს საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა, მაგრამ მსაჯმა სხვაგვარად განსაჯა.

ბოლო წუთებზე მაროკომ შტურმი მოაწყო. თამაშის გადარჩენას თუ ვერ მოახერხებდა, ბოლო ტურში, ჯგუფიდან გასასვლელად ეგებ განას უეჭველი ძლევა დასჭირდეს, რაც ძალიან საძნელო საქმეა.

იმ ბოლო წუთებზე მაროკომ ერთი კი გაქვითა: გვინეელებმა ბურთი საჯარიმოდან ვერ ამოიტანეს და აბდესლამ უადუმ თავურით გაიტანა. ოღონდ მესამე გოლისთვის მაროკოს ძალა აღარ ეყო.

კოტე კეკელია

მაროკო	2	1	0	1	7:4	3
განა	1	1	0	0	2:1	3
გვინეა	2	1	0	1	4:4	3
ნამიბია	1	0	0	1	1:5	0

განა — ნამიბია

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის

D ჯგუფი. I ტური

სამხრეთ აფრიკა 1:1 ანგოლა

0:1 მანუშო (29), 1:1 ვან ჰეერდენი (87)

სამხრეთ აფრიკა: ჯოზეფსი, მასიელა, მორისი, მოონი, მოკოენა, ტშაბალალა (ჩაბანგუ 46), პიენაარი (ვან ჰეერდენი 71), მოდისე, მლონგო, მორირი (ფანტენი 46), ზუმა

მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პარეირა

ანგოლა: ლამა, აიროსა (ლოკო 89), იამბა აშა, კალი, მარკეში, ფიგეირედო (ზე კალანგა 64), მაკანგა, ფილბერტო, მენდონსა (ედსონი 73), ფლავიო, მანუშო

მწვრთნელი: ლუიშ ოლივეირა გონსალვეში

გაფრთხილება: მოკოენა, მოონი, აიროსა

მსაჯი: კომან კოლუბალი (მალი)

გემრიელი, გახსნილი, ცოცხალი თამაში იყო, კარგი საყურებელი და კაცმა რომ თქვას, ორივე გუნდი ალალად იმსახურებდა ქულას.

ანგარიში მანუშო გოლნასალვეშმა გახსნა, ვინაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელია, ნაკრებში კი დებიუტი ჰქონდა.

„ბაფანა ბაფანამ“ სულ ბოლოს გაათანაბრა ბრიუგელი ელრიო ვან ჰეერდენის შორი და მოხდენილი დარტყმით.

სენეგალი	1	0	1	0	2:2	1
ტუნისი	1	0	1	0	2:2	1
ანგოლა	1	0	1	0	1:1	1
სამხრეთ აფრიკა	1	0	1	0	1:1	1

რაფას ადვოკატი

იქნებ, ვინმემ თქვას, ვინ ეკითხებოდაო... „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს ჰკითხეს და მანაც ამიტომ უპასუხა — „ლივერპულის“ პატრონებს კლასი არ ჰყოფნით, თორემ რაფა ბენიტესს არ გააბრაზებდნენო. კერძოდ, სერ ალექსმა ასე განაცხადა:

„დიდ კლუბებში დირექტორატი აუცილებლად თავის სიმაღლეზე უნდა იდგეს. ეს სავალდებულოა. ამიტომაც არიან დიდი კლუბები დიდი კლუბები“.

მოგეხსენებათ, მერსისაიდული კლუბის ამერიკელი მეპატრონეების, ტომ ჰიკსისა და ჯორჯ ჯილეტის ყველაზე უხეშ შეცდომად, საყოველთაოდ ბენიტესის ზურგსუკან იურგენ კლინსმანთან მოლაპარაკებების გამართვა აღიარეს. ამავე აზრის ყოფილა ალექს ფერგიუსონიც:

„ეს უხეში ბიზნეს-შეცდომა იყო. ის, რაც მათ გააკეთეს, ორი აზრი არ არის, რაფა ბენიტესისთვის გულსაკლავი გახლდათ. მწამს, ბენიტესი ახლა საოცრად მიტოვებულად გრძნობს თავს“.

კიდევ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი დარწმუნებულია, რომ არეული სიტუაცია მსოფლიო ვარსკვლავებს „ლივერპულში“ გადასვლისგან თავს შეაკავებინებს.

„მთელი მსოფლიოდან ინგლისში მომავალ ფეხბურთელთა უმეტესობას „მანჩესტერ იუნაიტედში“, „არსენალში“, „ჩელსისა“ და „ლივერპულში“ სურს თამაში — განმარტავს სერ ალექსი — მაგრამ, როდესაც ისინი ხედავენ, რომ მწვრთნელსა და დირექტორებს შორის გაუგებრობაა, ბუნებრივია, ტრანსფერს არ იჩქარებენ და კიდევ ერთხელ დაფიქრდებიან. როდესაც საქმე არჩევაზეა, ცხადია, ნებისმიერს სტაბილურ კლუბში უჯობს გადასვლა“.

შემდეგ ფერგიუსონმა განაცხადა, რომ ჰიკსისა და ჯილეტის კიდევ ერთი უხეში შეცდომა ... ტესის თანამდებობიდან გაშვება იქნება.

„რაფამ ესპანური კავშირების წყალობით „ლივერპულში“ უამრავი ფეხბურთელი მიიყვანა. ახლა გუნდს ვინმე ინგლისელი რომ დაუნიშნონ, ეს კავშირები დაიკარგება“.

საიდუმლო არ გახლავთ, რომ კონკურენციის მიუხედავად, ალექს ფერგიუსონი რაფა ბენიტესს დიდ პატივს სცემს და საპასუხო პატივისცემასაც გრძნობს.

„ოცი წლის წინ „ლივერპული“ მეტად შეკრული, კარგად მართული კლუბი გახლდათ — განაგრძო ფერგიუსონმა — პიტერ რობინსონის მდივნობის პერიოდში ყველაფერი ჩინებულად გახლდათ აწყობილი.

„იუნაიტედში“ მეც ძალიან გამიმართლა, რადგან სულ საუკეთესო დირექტორებთან მიხდებოდა მუშაობა. მარტინ ედუარდსისა და ბობი ჩარლტონის ნაირი ხალხი მუდამ გვერდში მედგა და მხარს მიჭერდა. დიდ კლუბში დირექტორმა მწვრთნელს მუშაობის საშუალება უნდა მისცეს, არ უნდა შეზღუდოს. ჩემთვის ფული არასდროს დაუმალავთ და ასე თუ ისე, ვინც მინდოდა, იმას ყოველთვის ვყიდულობდი.

და რას ვხედავთ დღეს? თითქმის ყოველ კლუბში განხეთქილებაა.

რაც შეეხება „ლივერპულს“, ვფიქრობ, ამიერიდან ისინი უფრო ჩემპიონთა ლიგაზე გააკეთებენ აქცენტს, ვიდრე პრემიერლიგის მოგებაზე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ პრემიერლიგის ცხრილში მათ წინ ერთი გუნდი კი არ არის, სამია. „ჩელსის“, „არსენალისა“ და ჩვენს დასაწევად ძალიან გრძელი გზის გავლაა საჭირო. მხოლოდ ერთი რომ ყოფილიყო დაწინაურებული, „ლივერპული“ „ლივერპულია“ და ჩემპიონობასაც შეუტევდა, მაგრამ სამი გუნდი, შენ რომ გინდა, იმდენ ქულას აბა, როდის დაკარგავს“.

პაპუნა კედია

ნუ დატოვებთ ჭკუას ოთახში

გაირკვა: ემანუელ ადებაიორს თანაგუნდელისთვის რქენის ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილი ისტორია ნიკლას ბენდტნერისთვის „შით“-ის დაძახებით გამოუწვევია — „სარბიელის“ მკითხველმა კარგად იცის, რაც მოხდა „ქარლინგის“ თასის ნახევარფინალურ შეხვედრაში „მეთოფეებსა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ შორის. „არსენალმა“ 1:5 წააგო, ხოლო მისმა ზემონახსენებმა მოთამაშეებმა ერთმანეთში იჩხუბეს.

მათთვის ვინც ინგლისურ გინებაში ვერ ერკვევა: „შით“ არის „მძ...რი“.

გაზეთმა „სანმა“, რომელიც სკანდალების დროს სიმართლის დადგენის დიდოსტატია, მყისვე მოძებნა ადამიანი, რომელმაც სახელისა და გვარის საჯაროდ დასახელება არ ისურვა, მაგრამ მოსახლეობას, რაც მოხდა, უამბო:

„პირველი, რაც ადებაიორმა ბენდტნერს უთხრა, ეს იყო: მე აქ მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ შენ ხარ „მძ...რი“ (ალბათ, მისი ცუდი ფეხბურთელობა და შეცდომების გამოსწორება იგულისხმა). ეს ორი ფეხბურთელი ერთმანეთს კარგა ხანია ვერ იტანს. უნდა ითქვას, რომ იმ მომენტში ბენდტნერმა ადებაიორს არაფერი უპასუხა, თუმცა ერთი ხნის შემდეგ ადებაიორმა იგივე გაუმეორა, რაზეც ნიკლასმა შუა თითი უჩვენა და დანარჩენიც ამას მოჰყვა“.

ახლა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი მომხდარს მსაჯის ჰოვარდ უების ოქმისა და ვიდეოჩანაწერების მიხედვით არკვევს, თუმცა, რამდენადაც ცნობილია, უებმა განაცხადა, რომ უშუალოდ კონფლიქტი არ დაუნახავს. მას მერე, რაც წაკიდებულნი „არსენალის“ კაპიტანმა უილიამ გალასმა გააშველა, მსაჯი ორივეს დაელაპარაკა, მაგრამ არ გაუფრთხილებია.

ახლა, როდესაც ინციდენტის შესახებ მთელმა მსოფლიომ გაიგო, 23 წლის ტოგოელი ვარსკვლავი ადებაიორი ასე ამბობს: „ვწუხვარ, ნიკლასთან უთანხმოება რომ მომივიდა. რასაკვირველია, თამაშის მსვლელობისას ორივეს მეტი სიდინჯე გემართებდა. ორივენი „არსენალის“ ბედზე ვდელავთ და ასეთ დროს ემოციამ შესაძლოა არასწორად ამოხეთქოს. რაც მოხდა, შეცდომა იყო. ამიერიდან, ჩვენ მომავალ თამაშებზე უნდა ვიფიქროთ და ერთსულოვნებას მივაღწიოთ, რომლის შემწეობითაც დიდებულ სეზონს ჩავატარებთ. „არსენალი“ ერთსულოვნებით არის ძლიერი და ის, რაც „სფურზთან“ შეხვედრის დროს მოხდა, კი არ დაგვასუსტებს, კიდევ უფრო გაგვაძლიერებს“.

მაგრამ სანამ ადებაიორი წუხს, ნიკლას ბენდტნერის მამა მას გიჟს უწოდებს. დიახ, თომას ბენდტნერი აცხადებს, რომ მისი ვაჟი უდანაშაულო მსხვერპლია და „მეთოფეთა“ მწვრთნელისგან, არსენ ვენგერისგან დამნაშავის ანუ მანუ ადებაიორის დასჯას მოითხოვს.

„საშწუხაროა, რომ ისეთ დიდ ფეხბურთელს, როგორიც ადებაიორია, მოედანზე ჭკუა არ გააქვს. რაც მან გააკეთა, ნამდვილი სიგიჟე იყო და დარწმუნებული ვარ, ამის შემყურე „არსენალი“ სწორ ნაბიჯს გადადგამს. ადებაიორი დასასჯელია, ნიკლასის წინააღმდეგ კი მწამს, არანაირ ზომებს არ მიიღებენ, რადგან ჩემი შვილი უდანაშაულოა. იცით, მე ნიკლასს ველაპარაკე და მაინც არ ვიცი რატომ მოხდა ეს ამბავი. მას წარმოდგენა არ აქვს, რამ გააცხარა ადებაიორი. ნიკლასს ცუდი არაფერი გაუკეთებია. სხვებისგან განსხვავებით ის მოედანზე რომ გადის, ჭკუას ოთახში არ ტოვებს. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, „არსენალმა“ ორივე მოთამაშესთან ხანგრძლივი საუბარი უნდა გამართოს და პრობლემა აღმოფხვრას“.

პაპუნა კედია

კლინსმანმა მაესტრო მოადგილედ თქვა ბაიერნი არდილესს ელოდება

მიუნხენის „ბაიერნის“ მომავალ მწვრთნელ იურგენ კლინსმანს უნდა, „ალიანს არენაზე“ თანაშემწედ არგენტინელი ოსვალდო არდილესი მიიყვანოს.

„კლინსმანი, რომელმაც გერმანიის ნაკრებში მიღო მწვრთნელობის გამოცდილება და არა რომელიმე კლუბში, „ბაიერნში“ თანაშემწედ სამხრეთამერიკელი არდილესის მიყვანას აპირებს“ — აცხადებს გერმანული „მიუნხენერ მერკური“.

„კლინსის“ „ბაიერნში“ სამომავლო თავკაცობა დაახლოებით ერთი კვირის წინ გადაწყდა. სეზონის ბოლოს ბავარიულ გიგანტს ამჟამინდელი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი დატოვებს და მის ნაცვლად „ალიანს არენაზე“ სახელგანთქმული იურგენი გამოჩნდება ოსვალდო არდილესითურთ. შეგახსენებთ, რომ 53 წლის არდილესი 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონია და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ინგლისურ „ტოტენჰემში“ იურგენ კლინსმანის დამრიგებელიც იყო.

„ზიუდდოიჩე ცაიტუნგმა“ ინფორმაციის დასაზუსტებლად არგენტინელს მიმართა. ამჟამად უმუშევარმა არდილესმა განაცხადა, რომ ოფიციალური წინადადებით მისთვის არავის მიუმართავს, მაგრამ არც მომავალ სეზონში მისი „ბაიერნში“ მუშაობაა გამორიცხული. გერმანულ მედიაში აღნიშნავენ, რომ ოსვალდოს თანაშემწეობა „კლინსის“ მხოლოდ სარგებელს მოუტანს — არდილესი გამოცდილი სპეციალისტია და „ალიანს არენაზეც“ „შინაური“, სამხრეთამერიკული გარემო დახვდება. „ბაიერნში“ ხომ 3 ბრაზილიელი (ლუსიო, ბრენო და ზე რობერტო) და 2 არგენტინელი (მარტინ დემიკელისი და ხოსე ერნესტო სოსა) თამაშობს.

ლადო ხომერიკი

კლემენტე სამი წლით ირანელია

ირანის ნაკრების მწვრთნელად ხავიერ კლემენტე დანიშნეს, რომელიც აზიის შესარჩევი ჯგუფიდან მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე გუნდის გაყვანას ეცდება. „კლემენტესთან სამწლიანი კონტრაქტი დღეს დილით ესპანეთში გავაფორმეთ“ — თქვა ირანის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა მეჰდი ტაიმ. შარშან ივლისში აზიის თასის მეოთხედფინალში ირანმა სამხრეთ კორეასთან წააგო, რის გამოც მაშინდელი მწვრთნელი ამირ გალენოეი მოხსნეს. თავის მხრივ ხავიერ კლემენტე სერბეთის ნაკრების თავკაცობიდან ნოემბერში გაათავისუფლეს, მას შემდეგ, რაც გუნდი ევრო 2008-ზე ვერ გაიყვანა. ესპანელი მწვრთნელი თეირანში მომავალ კვირაში ჩავა. მას პირველი მატჩი სირიასთან 6 თებერვალს ელის, ყოველთვიურად კი 30 ათას ევროს ჩაიჯიბავს.

სომხეთის დანიური თავი

61 წლის დანიელ იან პოულსენი სომხეთის ნაკრებს გაწვრთნის. იმავდროულად იგი ყველა ასაკობრივი ნაკრების ტექნიკური დირექტორიც იქნება. 61 წლის დანიელმა სომხეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2010-ის მაისამდე გააფორმა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი მეზობლების ეროვნულ გუნდს იან პორტერფილდი თავკაცობდა, რომელიც შემოდგომაზე კიბოთი გარდაიცვალა და იგი დროებით ვარდან მინასიანმა შეცვალა. პოულსენს დანიის, სინგაპურისა და იორდანიის ნაკრებებში უმუშავია.

როლანდო სიტიდან რომში

„მანჩესტერ სიტის“ იტალიელი ფორვარდი როლანდო ბიანკი სამშობლოში დაბრუნდა და „ლაციოს“ ფეხბურთელი გახდა. 24 წლის მეგოლე თავიდან „ტორინოში“ აპირებდა გადასვლას, მაგრამ რომაულმა კლუბმა უკეთესი პირობები შესთავაზა. ბიანკის ტრანსფერს „ლაციო“ გამოისყიდის და სიტელებს ნაწილ-ნაწილ 10 მილიონ გირვანქას გადაუხდის — თავდამსხმელი „სიტიში“ შარშან ზაფხულს „რეჯინადან“ დიდი ზარ-ზეიმით წაიყვანეს (8 მილიონი გირვანქა), მაგრამ პრემიერლიგის კლუბში ვერ ჩაეწერა, ამ სეზონში 15 მატჩი ითამაშა და ოთხი გოლი გაიტანა.

შვედური ჰრიცა ორ მილიონად

„სანდერლენდმა“ დანიური „ოლბორგიდან“ შვედი ფორვარდი რადე ჰრიცა შეიძინა. მის სანაცვლოდ პრემიერლიგელებმა 2 მილიონი გირვანქა გადაიხადეს, ხოლო ფეხბურთელმა სამწელიწადნახევრიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. წინა სეზონში ჰრიცა დანიური ლიგის მთავარმეკვლე გახდა. შვედამდე „სანდერლენდმა“ ჯონი ევანსი, ჟან-ივ მვოტო და ფილ ბერდსლი გადაიბირა,

ფულემმა ამერიკა აღმოაჩინა

აშშ-ის ნაკრების თავდამსხმელი ედი ჯონსონი „კანზას სიტიდან“ „ფულემში“ გადავიდა. 23 წლის მეგოლემ ლონდონურ კლუბთან სამწელიწადნახევრიანი კოტრაქტი გააფორმა, ეს უკვე მეოთხე შენაძენია „ფულემისა“, რომელიც პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძვის. ჯონსონამდე გუნდში მივიდნენ ლეონ ანდრეასენი, ბრედე ჰანგელანდი და დანიელ კუზენი.

რუბენი გაყვითლდა

პრიმერადივიზიონის „ვილიარეალმა“ არგენტინული „რივერ პლეიტიდან“ ფორვარდი მარკო რუბენი შეიძინა. მის სანაცვლოდ „ყვითლებმა“ შვიდი მილიონი დოლარი გადაიხადეს. 21 წლის ფეხბურთელი, რომელმაც „რივერში“ 36 მატჩში შვიდი გოლი გაიტანა, უკვე ესპანეთშია ქალაქებზე ხელის მოსაწერად.

კეროლი ცხვარში გაერია

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მეკარე როი კეროლი პრემიერლიგის მაჩანჩალა „დერბიში“ გადავიდა. იგი ბოლოს გლაზგოს „რეინჯერსში“ იყო, მაგრამ კლუბმა კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი უთხრა. 38 წლის გოლკიპერი „რეინჯერსმა“ შარშან ზაფხულს „ვესტ ჰემიდან“ ექსთვიანი ხელშეკრულებით იყიდა, მაგრამ კეროლმა იქ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთხელ ითამაშა.

ვაჭრობა დიეგოს გამო

ბრემენის „ვერდერის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი დიეგოს გაღებირებას ტურინის „იუვენტუსი“ აპირებს. იტალიური მედიის ცნობით, „იუვეს“ სპორტული დირექტორი ალესიო სეკო გერმანიაში ჩაბრძანდა „ვერდერის“ შეფებთან მოსალაპარაკებლად. გარდა ამისა, ამბობენ, რომ საქმეში „ინტერიც“ ჩაერია და ბრაზილიელს სათავისოდ ექაჩება. ბრემენული კლუბის მენეჯერმა კლაუს ალოფსმა განაცხადა, რომ გუნდის საუკეთესო ფეხბურთელის გაყიდვას ჯერ არ აპირებენ.

პია კატანიელია

„კატანიამ“ თანასერიელი „ნაპოლიდან“ ფორვარდი ინასიო პია გაიღებირა. თავდამსხმელი ნეაპოლური კლუბიდან სერია B-ს „ტრევიზოში“ იყო განათხოვრებული, სადაც ამ სეზონის 16 მატჩში 3 გოლი გაიტანა. ბრაზილიელი ფეხბურთელი 2001 წელს „სან პაულუდან“ ბერგამოს „ატალანტამ“ შეიძინა და მერე „ნაპოლიში“ აღმოჩნდა.

ვაჟა ხუციშვილი

ახლა უკვე მჯერა!

კაცი, რომელიც უემბლიზე მიდის

დიმიტარ ბერბატოვი

დიმიტარ ბერბატოვი, როგორც იქნა, დაწმუნდა, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპური“ სწორედ რომ მისი ამბიციების შესაფერისი გუნდია — ლონდონელებმა „ქარლინგის“ თასის ნახევარფინალში „არსენალი“ დაამარცხეს და ფინალში გავიდნენ.

მოგეხსენებათ, ბულგარელი ფორვარდი ბოლო ხანს „უაით ჰართ ლეინზე“ თავის მომავალს ეჭვქვეშ აყენებდა და სადმე, მისთვის უფრო შესაფერის გუნდში გადასვლაზე ოცნებობდა. 30 მილიონ გირვანქად შეფასებულმა ბერბატოვმა განაცხადა:

„ის ფეხბურთი, რომელიც ჩვენ „არსენალის“ წინააღმდეგ ვითამაშეთ, მართლაც შთამბეჭდავი გახლდათ. ზუსტად ისე ვთამაშობდით და ვეხმარებოდით ერთმანეთს, მე რომ ვოცნებობ. ახლა უკვე შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ჩვენ მეტის მიღწევა შეგვიძლია. ფაქტია, ასეთ გუნდს ჯილდოების აღმართვა შეუძლია. თუკი ასე თამაშს მომავალშიც მოვახერხებთ, მართლა არ ექნება მნიშვნელობა, ვინ არის მეტოქე — „არსენალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლივერპული“ თუ „ჩელსი“.

დიახ, ჩვენ დიდებული ფეხბურთელები და მწვრთნელი გვყავს. ამ შემადგენლობით კი ნებისმიერი მიზნის მიღწევაა შესაძლებელი“.

26 წლის ბერბატოვმა აგრეთვე აქო და ადიდა „სფურზის“ ესპანელი მწვრთნელი ხუანდე რამოსი, რომელმაც გუნდს „არსენალთან“ გაამარჯვებინა, ასეთი რამ კი ისტორიას 1999 წლის შემდეგ არ ახსოვს.

11185	ბრიუსელი-სტანდარდი	8.00	10.00	20.00	9.00	4.80	3.50	20.00	10.00	2.20
11187	გენკი-გენტი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11188	ლოკერენი-ანდერლეხტი	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11189	მეხელენი-მონსი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11190	მუსკრონი-სტ.ტრუიდენი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11191	ვარეგემი-სერკლი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11192	შარლეროა-ვესტერლო	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11207	ტილბურგი-ალკმაარი	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12173	გრენობლი-ამიენი	1.60	2.00
12174	აიაჩო-ანჟე	1.50	2.10
12175	გენიონი-ბასტია	1.60	2.00
12176	ლიბურნი-შატორუ	1.60	2.00
12177	ბრესტი-კლერმანი	1.60	2.00
12178	ბულონი-გენგამი	1.60	2.00
12179	ნანტი-ლე ავრი	1.60	2.00
12180	ტრუა-მონპელიე	1.60	2.00
12181	ნიორი-რეიმსი	1.60	2.00
12182	დიჟონი-სედანი	1.50	2.10
12183	ბრიუგე-ბეერსხოტი	1.90	1.70
12184	დენდერი-რუზელარე	1.90	1.70
12185	ბრიუსელი-სტანდარდი	2.00	1.60
12187	გენკი-გენტი	2.00	1.60
12188	ლოკერენი-ანდერლეხტი	1.80	1.80
12189	მეხელენი-მონსი	1.90	1.70
12190	მუსკრონი-სტ.ტრუიდენი	1.90	1.70
12191	ვარეგემი-სერკლი	2.00	1.60
12192	შარლეროა-ვესტერლო	1.80	1.80
12207	ტილბურგი-ალკმაარი	2.00	1.60

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსრული ფაფალად ჩაითვლება)

14173	გრენობლი-ამიენი	1.45	2.40
14174	აიაჩო-ანჟე	1.70	2.20
14175	გენიონი-ბასტია	2.00	1.80
14176	ლიბურნი-შატორუ	1.80	2.00
14177	ბრესტი-კლერმანი	1.85	1.95
14178	ბულონი-გენგამი	1.80	2.00
14179	ნანტი-ლე ავრი	1.70	2.20
14180	ტრუა-მონპელიე	1.70	2.20
14181	ნიორი-რეიმსი	1.75	2.10
14182	დიჟონი-სედანი	1.90	1.90
14183	ბრიუგე-ბეერსხოტი	1.30	2.50
14184	დენდერი-რუზელარე	1.75	2.10
14185	ბრიუსელი-სტანდარდი	2.50	1.30
14187	გენკი-გენტი	1.70	2.20
14188	ლოკერენი-ანდერლეხტი	2.20	1.70
14189	მეხელენი-მონსი	1.65	2.30
14190	მუსკრონი-სტ.ტრუიდენი	1.30	2.50
14191	ვარეგემი-სერკლი	2.00	1.80
14192	შარლეროა-ვესტერლო	1.75	2.10
14207	ტილბურგი-ალკმაარი	2.20	1.70

ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13183	ბრიუგე-ბეერსხოტი	1.70	1.90
13184	დენდერი-რუზელარე	1.60	2.00
13185	ბრიუსელი-სტანდარდი	1.70	1.90
13187	გენკი-გენტი	1.50	2.10
13188	ლოკერენი-ანდერლეხტი	1.70	1.90
13189	მეხელენი-მონსი	1.70	1.90
13190	მუსკრონი-სტ.ტრუიდენი	1.70	1.90
13191	ვარეგემი-სერკლი	1.50	2.10
13192	შარლეროა-ვესტერლო	1.70	1.90
13207	ტილბურგი-ალკმაარი	1.40	2.10

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15173	გრენობლი-ამიენი	3.00	2.80	2.00
15174	აიაჩო-ანჟე	3.00	2.80	2.00
15175	გენიონი-ბასტია	3.00	2.80	2.00
15176	ლიბურნი-შატორუ	3.00	2.80	2.00
15177	ბრესტი-კლერმანი	3.00	2.80	2.00
15178	ბულონი-გენგამი	3.00	2.80	2.00
15179	ნანტი-ლე ავრი	3.00	2.80	2.00
15180	ტრუა-მონპელიე	3.00	2.80	2.00
15181	ნიორი-რეიმსი	3.00	2.80	2.00
15182	დიჟონი-სედანი	3.00	2.80	2.00
15183	ბრიუგე-ბეერსხოტი	3.00	2.80	2.00
15184	დენდერი-რუზელარე	3.00	2.80	2.00
15185	ბრიუსელი-სტანდარდი	3.00	2.80	2.00
15187	გენკი-გენტი	3.00	2.80	2.00
15188	ლოკერენი-ანდერლეხტი	3.00	2.80	2.00
15189	მეხელენი-მონსი	3.00	2.80	2.00
15190	მუსკრონი-სტ.ტრუიდენი	3.00	2.80	2.00
15191	ვარეგემი-სერკლი	3.00	2.80	2.00
15192	შარლეროა-ვესტერლო	3.00	2.80	2.00
15207	ტილბურგი-ალკმაარი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16173	გრენობლი-ამიენი	1.24	3.60
16174	აიაჩო-ანჟე	1.40	2.55
16175	გენიონი-ბასტია	2.20	1.52
16176	ლიბურნი-შატორუ	1.65	2.05
16177	ბრესტი-კლერმანი	1.70	1.95
16178	ბულონი-გენგამი	1.62	2.05
16179	ნანტი-ლე ავრი	1.34	2.80
16180	ტრუა-მონპელიე	1.34	2.80
16181	ნიორი-რეიმსი	1.45	2.45
16182	დიჟონი-სედანი	1.95	1.65
16183	ბრიუგე-ბეერსხოტი	1.17	4.10
16184	დენდერი-რუზელარე	1.52	2.20
16185	ბრიუსელი-სტანდარდი	3.60	1.23
16187	გენკი-გენტი	1.40	2.55
16188	ლოკერენი-ანდერლეხტი	2.30	1.45
16189	მეხელენი-მონსი	1.32	3.00
16190	მუსკრონი-სტ.ტრუიდენი	1.17	4.10
16191	ვარეგემი-სერკლი	1.80	1.80
16192	შარლეროა-ვესტერლო	1.45	2.45
16207	ტილბურგი-ალკმაარი	2.30	1.48

გოლი:ყვითელი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ყვითლად)

17173	გრენობლი-ამიენი	1.85	1.95
17174	აიაჩო-ანჟე	1.85	1.95
17175	გენიონი-ბასტია	1.85	1.95
17176	ლიბურნი-შატორუ	1.85	1.95
17177	ბრესტი-კლერმანი	1.85	1.95
17178	ბულონი-გენგამი	1.85	1.95
17179	ნანტი-ლე ავრი	1.85	1.95
17180	ტრუა-მონპელიე	1.85	1.95
17181	ნიორი-რეიმსი	1.85	1.95
17182	დიჟონი-სედანი	1.85	1.95
17183	ბრიუგე-ბეერსხოტი	1.85	1.95
17184	დენდერი-რუზელარე	1.85	1.95
17185	ბრიუსელი-სტანდარდი	1.85	1.95
17187	გენკი-გენტი	1.85	1.95
17188	ლოკერენი-ანდერლეხტი	1.85	1.95
17189	მეხელენი-მონსი	1.85	1.95
17190	მუსკრონი-სტ.ტრუიდენი	1.85	1.95
17191	ვარეგემი-სერკლი	1.85	1.95
17192	შარლეროა-ვესტერლო	1.85	1.95
17207	ტილბურგი-ალკმაარი	1.85	1.95

საქართველოს თასი. 21-24 იანვარი თბილისი. სპორტის სასახლე



ფოტო: ალექსანდრე ბოგდ

ავია თუ კარგია, თასი ავიასია

ავიამშენი 110:90 თსუ

33:28 27:27 24:15 26:20

ავიამშენი: ნიკოლაძე (30), ტულუში (23), ხოშტარია (17), იმნაძე (2), მათიაშვილი (14); მინაშვილი (22), კვიმსაძე (2), ნინიაშვილი

თსუ: არწივიძე (13), ფანჩულიძე (8), კეიდია (15), ბარბაქაძე (23), ყველაშვილი (2); დ. ბერიშვილი (17), ტყეშელაშვილი (12), ივანეიშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

სპორტის სასახლის გამოსასვლელში თსუ-ს მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა „ავიამშენის" თავკაცს მხარზე მეგობრულად დაადო ხელი და ჰკითხა, რა იყო, ლევან ბატონო, თასების კოლექციას აგროვებო?! რამდენიმე წუთის წინ 4-წლიანი ისტორიის მქონე „ავიამშენმა" თავის ტიტულთა კოლექციას ერთიც — საქართველოს თასი შემატა. ეს ლევან მოსეშვილის გუნდის მესამე ანალოგიური ტიტულია, რომელიც გუშინ ალალად დაიმსახურა.

„ავიამშენმა" ეს სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო და სუპერლიგის ცხრილში ახლაც ჭაკად აქვს საქმე, თუმცა ახალი წლის არდადეგები ყაირითიანად გამოიყენა და სულ სხვა შემართებით ათამაშდა. მოსეშვილის სამწყსომ ორ კვირაში მეორე თასი მოიგო. გასულ კვირას „ავიატორებმა" ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე იმარჯვეს, გუშინ კი საქართველოს თასიც აღმართეს.

არადა, მწვრთნელის თქმით, „ავიამშენი" თავისი შესაძლებლობების 50 პროცენტს ავლენს: „ოპტიმალურ ფორმამდე ბევრი გვაკლია. „ავიამშენს" თამაშის ხარისხის გაუმჯობესება ერთიორად შეუძლია. მხოლოდ გიორგი ნიკოლაძეა ფორმის პიკზე. ის ჩვენს გუნდს ყველანაირად ეხმარება".

ნიკოლაძე არა მარტო მოსეშვილმა, არამედ ტურნირის ორგანიზატორმა კალათბურთის ფედერაციამაც გამოარჩია. ის ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და ამაში ცამდე მართლებიც იყვნენ. ნიკოლაძე 30 ქულით ბომბარდირი გახდა და რაც მთავარია, ყველაზე კრიტიკულ მომენტში კოტე ტულუშთან ერთად „ავიამშენს" სტუდენტების მიძალებისგან იცავდა.

თსუ-ს ერთადერთ ეფექტურ იარაღად უკანა ხაზი ჰქონდა, რაკი „ავიამშენი" ფარქვეშეთის ბატონ-პატრონი იყო და სამწყვიანში სტუდენტებს არ აჭაჭანებდა. რიჩარდ მათიაშვილმა, რომელიც ორი კვირის წინ თსუ-ს ფარს ამაგრებდა, თავის ყოფილ თანაგუნდელებს სამწყვიანში შესვლა „აუკრძალა". ის მეწყვილეებთან — ხან ვახტანგ მინაშვილთან, ხანაც დავით იმნაძესთან ერთად გასაქანს არ აძლევდა თსუ-ს მაღლებს და „ავიამშენმაც" პირველივე მეოთხედშივე მოიპოვა სოლიდური უპირატესობა — 20:11.

ნუგზარ ჭეიშვილი მიხვდა, რომ მეტოქესთან ფარქვეშ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა — ელემენტარულად, საამისო რესურსი არ გააჩნდა და ამიტომაც უკანახაზელებით, კონტრშეტევასა და სამქულიანებზე აწყობილი თამაშით შეუტია. ამან მთლად ვერ გაამართლა, მაგრამ ანგარიშის შესამცირებლად და მეტოქესთან დისტაცნიის შესანარჩუნებლად საკმარისი აღმოჩნდა. სტუდენტები ისე მარჯვედ ესროდნენ სამიანებს, რომ პირველ მეოთხედში 10-დან 7 ჩააგდეს და პირველი შესვენებისთვის ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირეს — 28:33.

მეორე ათწუთეულიდან „ავიამშენმაც" გაამაგრა უკანა ხაზი, რასაც თავი ბრწყინვალედ გაართვა გიორგი ნიკოლაძემ, ვისაც მხარი ტულუშმა და ირაკლი ხოშტარიამაც აუბეს და... მოსეშვილის გუნდმაც სწრაფი შეტევებისა და შიგადაშიგ მითვლილი სამქულიანებით უპირატესობა კვლავ ორნიშნა რიცხვით გამოხატა — 54:44.

აქ ჭეიშვილმა პრესინგს მიმართა, რამაც კონკრეტულ ეპიზოდში კი გაუმართლა, მაგრამ თამაშის შესატრიალებლად ვერ იკმარა. სტუდენტებმა რამდენჯერმე ჩაუჭრეს „ავიატორებს", კონტრშეტევებზე დავით ბარბაქაძემ იხეირა და თსუ-მ ჩამორჩენა 4 ქულამდე შეამცირა (52:56), თუმცა ისევ ნიკოლაძის ფეხმარდობით მოსეშვილის გუნდმა დიდი შესვენებისთვის ეს ლიდერობა შეინარჩუნა.

მესამე მეოთხედი გარდამტეხი აღმოჩნდა. ხოშტარიამ ფარქვეშ წარმატებულ შერბენებს უხშირა, ვახტანგ მინაშვილმაც კარგი ტანდემი შეუკრა მათიაშვილს სამწყვიანში და როცა ტულუშმაც დასჭექა სამქულიანები, „ავიამშენის" უპირატესობა 15 ქულას ასცდა.

ასეთი ჩამორჩენის გაბათილება წარმოუდგენელი არაა ერთ მეოთხედში, მაგრამ თსუ-ს სამ ლიდერს 4 პერსონალური დაჰგროვებოდა და... თამაში ისე დამთავრდა, სტუდენტებმა „ავიატორთა" ანერვიულებაც კი ვერ მოახერხეს და საბოლოოდ დიდი სხვაობით დამარცხდნენ.

„საუკეთესოდ დასახელება, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, მაგრამ თანაგუნდელებს რომ არ ეყოჩაღათ, ამ პრიზს ვერ დავიმსახურებდი — თქვა ნამატჩევს გიორგი ნიკოლაძემ — ძლიერი და სახიფათო მეტოქე გვყავდა, მაგრამ გუნდური თამაშით იოლად მოვახერხეთ მისი დამარცხება და „ავიამშენის" პრესტიჟი გავამყარეთ — ბოლო ორ კვირაში 2 თასი მოვიგეთ".

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ჩურჩული ფარულიანთ ქართველი ატლანტაში ადგილს კარგავს

23 იანვარი

დენვერი 107:100 ატლანტა

დენვერი: აივერსონი (29), კარტერი (8), კლეიზა (23), მარტინი (20 ქულა, 10 მოხსნა), კემბი (13 ქულა, 21 მოხსნა, 4 პასი, 4 დაფარება); ნახერა (7), დიავარა (5), სმიტი (2)

ატლანტა: ე. ჯონსონი (12), ჯ. ჯონსონი (14), მ. უილიამსი (20), სმიტი (22 ქულა, 12 მოხსნა, 10 პასი, 5 დაფარება, 3 ჩაჭრა), ჰორფორდი (14 ქულა, 11 მოხსნა, 5 ჩაჭრა); ჩილდრესი (9), ლუ (9), ჯონსი, ლოუ, ვესტი, შ. უილიამსი

ფარულიას არ უთამაშია

მინესოტა 117:107 ფინიქსი

მინესოტა: ჯეფერსონი (39 ქულა, 15 მოხსნა), იარიჩი (15 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), გომესი (14)

ფინიქსი: სტუდემაიერი (33), ნეში (21 ქულა, 16 პასი), ბელი (18)

სიეტლი 107:109 ჰიუსტონი

სიეტლი: დურანტი (25), შჩერბიაკი (22), ტომასი (16)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (28), მინი (26 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), ალსტონი (18)

კლივლენდი 121:85 ვაშინგტონი

კლივლენდი: ილგაუსკასი (24), ჯეიმსი (23 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), გუდენი (18 ქულა, 10 მოხსნა), ბრაუნი (15)

ვაშინგტონი: ჰეივუდი (11)

ბოსტონი 112:114 ტორონტო

ბოსტონი: გარნეტი (26), პირსი (19), ალენი (19), რონდო (14)

ტორონტო: კალდერონი (24 ქულა, 13 პასი), ბოში (23), პარკერი (23), ბარნანი (20), დელფინო (15)

სან ანტონიო 103:91 ლეიკერსი

სან ანტონიო: დანკანი (28 ქულა, 17 მოხსნა), უდოკა (18), პარკერი (16)

ლეიკერსი: ბრაიანტი (29 ქულა, 12 მოხსნა), ტურიაფი (14)

ნიუ ორლეანი 96:81 პორტლენდი

ნიუ ორლეანი: პარგო (24), ვესტი (22), პოლი (18 ქულა, 10 პასი)

პორტლენდი: ოლდრიჯი (17), ბლეიკი (15), როი (14), აუთლოო (14)

ფილადელფია 78:86 დეტროიტი

ფილადელფია: გრინი (16), იგუდალა (15), უილიამსი (13)

დეტროიტი: ჰამილტონი (21), ბილაფსი (19), პრინსი (16)

შარლოტი 95:102 დალასი

შარლოტი: ვოლესი (22 ქულა, 11 მოხსნა), რიჩარდსონი (22), ოკაფორი (19 ქულა, 10 მოხსნა), ფელტონი (16)

დალასი: ჰარისი (23), ჰოვარდი (21 ქულა, 12 მოხსნა), ნოვიცკი (20), ტერი (16)

მემფისი 85:112 ორლანდო

მემფისი: გაი (20), გასოლი (17 ქულა, 11მოხსნა)

ორლანდო: თურქოღლუ (26), ჰოვარდი (16 ქულა, 10 მოხსნა), ლუისი (16)

ჩიკაგო 108:95 ინდიანა

ჩიკაგო: ჰაინრიხი (38 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ნოჩიონი (24), ნოა (14 ქულა, 15 მოხსნა), სეფოლოშა (14)

ინდიანა: გრეინჯერი (33), რაში (13)

კლიპერსი 11:85 საკრამენტო

კლიპერსი: ტორონტო (23), მაგეტი (21), კამანი (20 ქულა, 21 მოხსნა)

საკრამენტო: ბიბი (16), მილერი (15 ქულა, 12 მოხსნა

მწვრთნელ მაიკ ვუდსონთან საჯარო კამათისთვის ერთთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასჯილმა ზაზა ფუჩულიამ გამოტოვა „დენვერთან" გასვლითი მატჩი. „ატლანტამ" წააგო შეხვედრა და ეს ალბათ ნაკლებადაა იმის ბრალი, რომ ფაჩულიამ არ ითამაშა. ზაზას თანადათან უწევს ან მოუწევს იმ აზრთან შეგუება, რომ ის აღარაა გუნდის ძირითადი ცენტრი და ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე. ხუთეულში მის ადგილზე ახალბედა ცენტრმა ალ ჰორფორდმა გაიდგა ფესვები, ქართველი კი დადგა ამ რეალობის წინაშე: მან ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს და ბრძოლით მოიპოვოს სათამაშო დრო და ადგილი „ატლანტას" ვიწრო სათამაშო სივრცეში.

რაც შეეხება „ატლანტას", მას ნამდვილად არ ულხინს, ფაჩულიასი არ იყოს. „ქორებმა" ზედიზედ მეოთხე თამაში დათმეს და მხოლოდ იმიტომ ინარჩუნებენ აღმოსავლეთში მეშვიდე ადგილს, რომ მისი უშუალო კონკურენტები „ინდიანაც" და „ნიუ ჯერსიც" უპარდონოდ აგებენ — პირველს ბოლო ხუთი თამაში აქვს წაგებული, მეორეს კი ერთითი მეტი.

დენვერში იქაური „ნაგიტსიან" „ჰოქსმა" პირველი მეოთხედი 12 ქულით წააგო და მერე მთელი დარჩენილი დრო ამაოდ ცდილობდა მასპინძლის უპირატესობის შერყევას. მძლავრად ითამაშა ატლანტელთა ფორვარდმა ჯოშ სმიტმა, ვინც კარიერაში პირველი სამმაგი დუბლი შეასრულა, მაგრამ თამაში ჩაუვარდა სტუმართა ლიდერ ჯონ ჯონსონს. მან მხოლოდ 14 ქულა შეაკოწიწა.

ამ დროს „დენვერის" ყველა წამყვანი მოთამაშე ნაყოფიერად ირჯებოდა და ამ გუნდს, მატჩში საშუალოდ 23 ქულის მშოვნელი კარმელო ენტონის არყოფნა არც დასტყობია. ალენ აივერსონთან ერთად თავი გამოიდეს ლიტველმა ლინას კლეიზამ და კენიონ მარტინმა, რომელსაც, რაც „ნიუ ჯერსიდან" „დენვერში" გადაბარგდა (3 წლის წინ), ხელი ხეირიანად არც გაუმართავს.

კოტე ყორჩია

აღმოსავლეთი				NBA
ატლანტიკა				
ბოსტონი	33	7	82,5	NBA
ტორონტო	23	19	54,8	NBA
ნიუ ჯერსი	18	23	43,9	NBA
ფილადელფია	16	27	37,2	NBA
ნიუ იორკი	13	28	31,7	NBA
ცენტრალური				
დეტროიტი	30	13	69,8	NBA
კლივლენდი	23	18	56,1	NBA
ინდიანა	19	24	44,2	NBA
ჩიკაგო	17	24	41,5	NBA
მილუოკი	16	26	38,1	NBA
სამხრეთ-აღმოსავლეთი				
ორლანდო	27	17	61,4	NBA
ვაშინგტონი	22	18	55,0	NBA
ატლანტა	17	21	48,5	NBA
შარლოტი	16	26	38,1	NBA
მაიამი	8	32	20,0	NBA

დასავლეთი			
სამხრეთ-დასავლეთი			
ნიუ ორლეანი	29	12	70,7
დალასი	28	13	68,3
სან ანტონიო	27	13	67,5
ჰიუსტონი	23	19	54,8
მემფისი	12	30	28,6
ჩრდილო-დასავლეთი			
დენვერი	25	16	61,0
პორტლენდი	25	17	59,5
იუტა	24	18	57,1
სიეტლი	9	33	21,4
მინესოტა	7	34	17,1
წყნარი ოკეანე			
ფინიქსი	30	13	69,8
ლეიკერსი	27	13	67,5
გოლდენ სტეიტი	25	18	58,1
საკრამენტო	18	23	43,9
კლიპერსი	13	25	34,2

ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი 14-27 იანვარი. საპრიზო 20 640 000 $

კინგ-ცონგამ ნადალიც დაადაბლა

კაცები
ნახევარფინალი

ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) — რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) 6:2 6:3 6:2

ქალები
ნახევაფინალი

მარია შარაპოვა (5, რუსეთი) — ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) 6:3 6:1;
ანა ივანოვიჩი (4, სერბეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (9, სლოვაკეთი) 0:6 6:3 6:4

წესით და რიგით, გუშინდელი დღის მიმოხილვა ქალთა ნახევარფინალებით უნდა დაგვეწყო და მარია შარაპოვასთვის მორიგი ოდა გვეშღერა, მაგრამ ხუთშაბათს დაგეგმილმა კაცთა ერთადერთმა ნახევარფინალმა სეზონის პირველი ხმაურიანი სენსაცია შემოგვთავაზა — აქამდე ნაკლებად ცნობილმა ჟო-ვილფრედ ცონგამ წარმატებით გააგრძელა თავისი ზღაპრული სვლა მელბურნ-პარკის კორტებზე და მსოფლიოს მეორე ჩოგან რაფაელ ნადალის განადგურებით ავსტრალიური სლემტურნირს ფინალს უწია.

ღია პირველობათა ერაში ცონგა სლემტურნირების ოდენ მე-13 ფინალისტია, რომელსაც აქამდე მხოლოდ ხუთ ან ნაკლებ მეჯორზე უთამაშია. გარდა ამისა, 22 წლისა და 285 დღის ასაკში ფრანგი ასაკით მე-19 ყველაზე ახალგაზრდა მეჩოგნეა სლემტურნირის გადამწყვეტ შეხვედრაში რომ ითამაშებს. თანაც ცონგა მხოლოდ მესამე ფრანგია, მელბურნში ამდენს რომ მიაღწია — აქამდე მხოლოდ ჟან ბოროტამ (1928 წელი) და არნო კლემანმა (2001 წელი) ითამაშეს ფინალში.

„ფრანგულ ცუნამად" მონათლული ცონგას წლევანდელი სვლა ძალიან ჰგავს მარკოს ბაღდატისის ორი წლის წინანდელ შოკისმომგვრელ გამოსვლას. კვიპროსელისა არ იყოს, ფინალამდე ფრანგმაც ტოპათეულის სამი წევრი — ენდი მიურეი (9), რიშარ გასკე (8) და ახლა ნადალი (2) მოინელა.

თუმც მოგება მოგებად და იმას, რაც გუშინ ფრანგმა ნადალს დამართა, განადგურება ერქვა. ცონგამ ყველა შესაძლებელ კომპონენტში დაჩაგრა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი და მხოლოდ შვიდი გეიმი დაუთმო — სლემტურნირზე ასე თავისმომჭრელად ნადალი ბოლოს 2004 წელს აშშ-ს ღია პირველობაზე ენდი როდიკთან დამარცხდა.

რა თქმა უნდა, ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ნადალი თიხნარზე და ნადალი ჰარდზე აბსოლუტურად განსხვავებული ჩოგბურთელები არიან. ესპანელს მაგასაფარზე ყველაზე მეტად არ უყვარს და არც გამოსდის თამაში, მაგრამ გუშინდლამდე რაფა იმდენად დამაჯერებლად მოვიდა, რომ ბევრი მას უკვე ფინალში ხედავდა. თუმც ამის მაგივრად კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჰარდზე მალიორკელი ძალიან არაკომფორტულად გრძნობს თავს.

საქმე მარტო ასეთი ანგარიშით წაგებაშიც არ არის — ნადალმა ყველაზე მეტად იმით გააოცა სპეციალისტებიცა და მაყურებელიც, რომ საერთოდ ვერ გამოავლინა ჩვეული ბრძოლისუნარიანობა. ესპანელს, რომელსაც გრუნტზე ყველანაირი ხერხებითა და მეთოდებით შეუძლია მეტოქეთა გატეხვა, გუშინ საერთოდ ვერ გადააწყო თავისი თამაში და ცონგას სუპერაგრესიულ ჩოგნაობას ვერაფერი დაუპირისპირა.

მაგრამ მოდით, ფრანგსაც ნუ დავუკარგავთ დიდებულ გარჯას — გუშინ ცონგას კორტზე ყველაფერი გამოსდიოდა, გიჟური მოწოდებით დაწყებული, ბადესთან დიდებული თამაშით დამთავრებული. ამ ბოლო კომპონენტში კი გალმა სულაც ისეთი სასწაულები აკეთა, რომ როდ ლეივერის ცენტრალურ კორტზე შეკრებილი მაყურებელი ფეხზე წამოდგარი უკრავდა ტაშს. ბადესთან ასეთი უნაკლო თამაში ბოლოს ალბათ პატრიკ რაფტერის შესრულებით თუ გვინახავს.

„ეს მართლაც საოცარია. დღეს თითქოს ვერავინ გამაჩერებდა, ყველაფერი გამომდიოდა, ნებისმიერ დარტყმა. იმედი მაქვს, ფინალშიც შევძლებ საუკეთესო თვისებების გამოვლენას" — განაცხადა ნამატჩევს დღის გმირმა, რომელმაც იქვე აღიარა ბოლომდე ვერც გამიაზრებია, რა გავაკეთეო.

ფრანგულმა სენსაციამ გუშინ მეორე პლანზე კი გადაიტანა ქალთა ნახევარფინალების შედეგები, მაგრამ ერთი-ორი სიტყვა ამაზეც აუცილებლად უნდა ითქვას.

მაშ ასე, 2008 წლის ავსტრალიური სლემის გამარჯვებულის ვინაობას ერთმანეთში ქალთა ჩოგბურთის ალბათ ყველაზე სიმპათიური წარმომადგენელი მარია შარაპოვა და ანა ივანოვიჩი გაარკვევენ. ფინალისკენ კი მათ გზა სულ სხვადასხვანაირად გაიკაფეს.

შარაპოვამ კიდევ ერთი სპექტაკლი დადგა და ელენა იანკოვიჩი ყველა წინა მეტოქესავით უშანსოდ დატოვა. სერენა უილიამსის დამჩოქებელმა სერბმა ხეირიანად გახურება და აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრო, უკვე 5შ0-ს რომ აგებდა. მართალია, ელენამ შემდეგი სამი გეიმის მოგებით ოდნავი ინტრიგა შეიტანა მატჩში, მაგრამ მაშამ საქმე აღარ გააჯანჯლა და სეტი გამარჯვებამდე მიიყვანა. ამის შემდეგ იანკოვიჩი ტრავმებმა შეაწუხა და გასახდელში სირბილსა და ექიმის დახმარების ფონზე, მეორე სეტი თითქმის უბრძოლველად დათმო.

„თავიდან მარიამ ისე დაიწყო, მხოლოდ ისღა გავიფიქრე, მგონი მის ოცნებაში მოვხვდი და საინტერესოა, გაღვიძებას თუ აპირებს-მეთქი. მერე ცოტა კი გამოვასწორე თამაში, მაგრამ... ის მართლაც ძალიან, ძალიან, ძალიან კარგად თამაშობს" — შარაპოვას ქებაში იყო იანკოვიჩი.

აი, ივანოვიჩმა კი პირიქით, საზიზღრად დაიწყო თავისი მატჩი დანიელა ჰანტუხოვასთან. სერბი ლამაზმანი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და ღრმა ორმოსაც ითხრიდა. სლოვაკმა პირველი სეტი ნულზე მოიგო და მეორეში 2შ0 მიჰყავდა — ასეთ უპირატესობის ხელიდან თითქმის არავინ გაუშვებდა, მაგრამ ჰანტუხოვა განსაკუთრებით მყარი ნერვული სისტემით არასდროს გამოირჩეოდა და მანაც ივანოვიჩს საკუთარი თამაშის პოვნის საშუალება მისცა. ბალკანელმა კი შანსი აღარ გაუშვა ხელიდან და კარიერაში მეორე სლემტურნრის ფინალში თამაშის უფლებაც გაინაღდა.

კახა ლოგაშვილი

ვეორგი ჯანიშვილის ფოტო

ნაკრებს გამარჯვება დაუფასეს

გუშინ სპორტის დეპარტამენტში ხელბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა და საქართველოს ნაკრების მიერ მოგებული „ჩელენჯ-ტროფის" ტურნირი შეაფასა. მედიის წინაშე დეპარტამენტის თავჯდომარე დავით ნამგალაური, ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე, ნაკრების თავკაცი იმედო ფხაკაძე და სპორტის სასახლის მმართველი ჯგუფის წარმომადგენელი თამუნა სეფერთელაძე წარდგნენ, ვინაც ნაკრებს „ლოჯიკ ჯგუფის" სახელით ათი ათასი ლარი გადასცა.

დავით ნამგალაური: ეს წარმატება პირველია საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელი ხებრუთის ისტორიაში და ბუნებრივია, ძალიან სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრებმა „ჩელენჯ-ტროფი" მოიგო. წლის დასაწყისში ასეთი გამარჯვება მთელი მომავალი შესარჩევი ციკლის მანძილზე სტიმულად უნდა გაჰყვეს ნაკრებს და კიდევ უფრო მეტს მიაღწიოს. ჩვენი მხრიდან ყველა დაპირება შესრულდება. მადლობა ფედერაციას და იმედო ფხაკაძეს ამ გამარჯვებისთვის.

თამაზ თევზაძე: ვულოცავ ყველას ამ წარმატებას და მინდა, მადლობა ვუთხრა სპორტის დეპარტამენტს დახმარებისთვის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ქართული ხელბურთის ტრადიციები ავაღორძინოთ. წლეულს ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ვიბრძოლებთ.

იმედო ფხაკაძე: პროგრამა-მინიმუმი შევასრულეთ და „ჩელენჯ-ტროფი" მოვიგეთ. ახლა საშემოდგომო შესარჩევისთვის უნდა მოვემზადოთ და ევროპაზე მოსახვედრად ვიბრძოლოთ, თუმც ბევრი რამ აპრილში გასამართ კენჭისყრაზე იქნება დამოკიდებული.

თამუნა სეფერთელაძე: ნაკრების წარმატება სპორტის სასახლიდან დაიწყო და ჩვენ ეს ძალიან გვახარებს. გადავწყვიტეთ, რომ გუნდს სიურპრიზი გაუკეთოთ და ათი ათასი ლარით ვასაჩუქრებთ. ასეთი წახალისება ყოველთვის კარგია, რადგან სპორტსმენებს სტიმულს აძლევს და მოტივაციას უორმაგებს.

ლექსო მაისურაძე

მეორე ჯგუფური ეტაპის მეორე ტური

I ჯგუფი

ხორვატია 34:26 ჩერნოგორია
პოლონეთი 26:36 დანია
სლოვენია 33:29 ნორვეგია

დანია	3	0	1	122:97	6
ხორვატია	3	0	1	115:107	6
ნორვეგია	2	1	1	107:105	5
სლოვენია	2	0	2	115:120	4
პოლონეთი	1	1	2	110:119	3
ჩერნოგორია	0	0	4	103:124	0

II ჯგუფი

საფრანგეთი 26:23 გერმანია
უნგრეთი 28:36 ისლანდია
ესპანეთი 26:27 შვედეთი

საფრანგეთი	4	0	0	112:95	8
შვედეთი	2	1	1	102:100	5
გერმანია	2	0	2	108:107	4
უნგრეთი	1	1	2	114:119	3
ესპანეთი	1	0	3	111:122	2
ისლანდია	1	0	3	103:117	2



Formula 1
რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

კოვალაინენის დღე და იმედიანი მასა



ჰეიკი კოვალაინენის „მაკლარენი“ ყველაზე სწრაფი იყო

ვალენსიის მახლობლად, რიკარდო ტორმოს ავტოდრომზე, მორიგი სეზონისწინა ტესტები გრძელდება და ბოლოსწინა, მეორე დღის მთავარი ამბავი ის იყო, რომ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ინგლისელი ლუის ჰემილტონი პირველად მიუჯდა „მაკლარენის“ ახალი მოდელის საჭეს.

მანამდე რონ დენისის გუნდის მეორე პილოტთან, ფინელ ახალწვეულ ჰეიკი კოვალაინენთან ერთად, ახალ „მაკლარენს“ ტესტირებას გუნდის ტესტ-პილოტი პედრო დე ლა როსა უტარებდა და ბრიტანელმა ოთხშაბათსღა გამოსცადა ახალი მანქანა.

ჰემილტონმა, შეიძლება ითქვას, რომ სრული პროგრამით ირბოლა, 115 წრე დაარტყა და საუკეთესო წრეზე წუთი და 12,076 დრო აჩვენა. ამ შედეგით ტესტების მეორე დღეს ჰემილტონი მეოთხე იყო, ხოლო საუკეთესო დრო მის თანაგუნდელს ჰქონდა — „მაკლარენში“ „რენოდან“ გადასულმა კოვალაინენმა ვალენსიურ ტრასას საუკეთესო წრეზე ზუსტად წუთსა და 11 წამში შემოუქროლა.

მეორე-მესამე შედეგები „ფერარის“ პილოტებმა — ბრაზილიელმა ფელიპე მასამ (1.11,662) და ფინელმა მსოფლიოს ჩემპიონმა კიმი რაიკონენმა (1.11,850) აჩვენეს. წინა დღის მსგავსად, ამჯერადაც მეექვსე იყო „მაკლარენიდან“ „რენოში“ დაბრუნებული მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო (1.12,360), ხოლო მის წინ და უკან „უილიამსის“ მრბოლები, იაპონელი კაძუკი ნაკაჯიმა (1.12,255) და გერმანელი ნიკო როსბერგი (1.12,493) განლაგდნენ.

ვალენსიურ ტესტებში კვლავაც ათი გუნდის მრბოლები მონაწილეობენ და მხოლოდ ყოფილი „სპაიკერის“ ბაზაზე დაფუძნებული ინდური „ფორს-ინდიას“ პილოტები არ ჩანან.

ისევე, როგორც წინა დღეს, ტექნიკურ პრობლემებს კვლავ ვერ გაექცა „ფერარის“ ბრაზილიელი მასა, რომელმაც დილის სესიისას ტრასის მეთორმეტე ვირაჟიდან გადაუხვია. მიუხედავად ამ მცირე შეფერხებებისა, მასა ოპტიმისტურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ ძალუძს საჩემპიონო ბრძოლაში ჩაბმა: „ჯერ კიდევ შარშან ყველა დარწმუნდა, რომ მე საჩემპიონო შანსები მქონდა. წლეულს კი გამარჯვებისთვის ყველაფერი მაქვს — მშვენიერი მანქანა, ბრწყინვალე გუნდი, ხელმძღვანელობის ნდობა... ასე რომ, პირველობისთვის ბრძოლას ვაპირებ. დიდი ხანია, ამისკენ მოვდივარ და ბოლოს და ბოლოს, უნდა მივაღწიო მიზანს“.

ძახა ლომაძე

ჯორდანმა ჰონდას ბრაუნი შეუქო

ახალი საპირველფორმულო სეზონისთვის „ჰონდას“ ახალი მოდელის ოფიციალური პრეზენტაცია 29 იანვარს მოხდება, თუმც იაპონური საჯინიბოს ბრაზილიელმა პილოტმა რუბენს ბარიკელომ ახალი მანქანით ვალენსიაში, რიკარდო ტორმოს ავტოდრომზე, პირველი წრეები უკვე დაარტყა და გუნდის ხელმძღვანელებმაც პირველი კომენტარები გააკეთეს.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი უსახური სეზონის შემდეგ, „ჰონდაში“ როს ბრაუნი მივიდა დირექტორის თანამდებობაზე და სწორედ ამ ლეგენდარულ კაცს უკავშირებენ იაპონელები სამომავლო იმედებს.

„შარშან გარკვეული წარმატებები გვქონდა, თუმც ცუდი დღეები უფრო ბევრი იყო — განაცხადა „ჰონდას“ წარმომადგენელმა ნიკ ფრაიმ — ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ არ უნდა განვიცადოთ პროგრესი. ყოველ შემთხვევაში, ახალი RA108 ოპტიმისტურად განგვაწყობს და იმედი გვაქვს, რომ ახალ სეზონში სისტემატურად შევძლებთ ქულების მოპოვებას“.

ფრაის ბანი მისცა ედი ჯორდანმა, ფორმულა 1-ის ყოფილი გუნდის მეპატრონემ, რომელმაც ბრძანა, რომ ახალ სეზონში ფავორიტებს, ანუ „ფერარის“ და „მაკლარენს“, სწორედ „ჰონდა“ და გერმანული „BMW-ზაუბერი“ გაუწევენ კონკურენციას.

„საჩემპიონო ბრძოლა კვლავაც „ფერარის“ და „მაკლარენს“ შორის წარიმართება, მაგრამ არანაკლებ საინტერესო იქნება, თუ რომელი გუნდი იქნება მესამე, მეოთხე და მეხუთე. ამ ეტაპზე „ჰონდა“ თითქოს აუტსაიდერია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მათთან როს ბრაუნი მივიდა და მას ნამდვილად შეუძლია „ჰონდასგან“ კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება“ — განაცხადა ედი ჯორდანმა.

ძახა ლომაძე

ბრიატორეს ფიქრები



ფორმულა 1-ის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე სახელგანთქმულმა მენეჯერმა, „რენოს“ შეფმა ფლავიო ბრიატორემ განაცხადა, რომ საარაუდოდ, შორს აღარ არის ის დღე, როდესაც საპირველფორმულო გუნდის თავკაცობაზე ურს იტყვის და პენსიაზე გავა.

58 წლის იტალიელმა, ვისი კონტრაქტიც „რენოსთან“ წლის ბოლოს იწურება, ესპანურ „მარკასთან“ საუბარში განაცხადა, რომ ფორმულა 1-ში თითქმის ოცი წლის ყოფნის შემდეგ, დასვენებაზე უარს ნამდვილად არ იტყოდა: „ამ სპორტში ძალიან ბევრი ჩავდე და სამაგიეროც ბევრი მივიღე. ჩემი მორიგი ავანტიურა „რენოში“ ფერნანდო ალონსოს დაბრუნებაა და როდესაც ამ ავანტიურისგან რაღაც გამოდნება, ალბათ დასვენებაზეც ვიფიქრებ და შესვენებას ავიღებ“.

თუმცა, სანაც შესვენებაზე გასულა, ბრიატორე „რენოს“ შეფია და „რენოში“ კი ალონსოს გარდა ლეგენდარული ბრაზილიელის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ნელსონ პიკეს ვაჟი ნელსინიო პიკეც ირიცხება. სწორედ უმცროს პიკეზე გააკეთა კომენტარი ბრიატორემ და ბუნებრივია, თავისი ჯილა ალონსოც ახსენა: „ფერნანდო ბრწყინვალე მრბოლია. უბრალოდ, შარშან მას არ გაუმართლა. „მაკლარენში“ უსამართლოდ ექცეოდნენ. შემიძლია ფიცი დავდო, რომ ჩვენთან მსგავსი არ მოხდება. პიკე უაღრესად ნიჭიერი მრბოლია, ნამდვილი ტალანტია, მაგრამ მას ჯერ საიმისო გამოცდილება არ აქვს, მთავარი როლის შესრულება რომ შეძლოს“.

ძახა ლომაძე

ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ვეიკ ან ზეე. ჰოლანდია. 11-27 იანვარი

X ტური

მაიკლ ადამსი (ინგლისი)	0,5:0,5	ლევონ არონიანი (სომხეთი)
ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	0,5:0,5	პეტერ ლეკო (უნგრეთი)
თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	0,5:0,5	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)
ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი)	0,5:0,5	ბორის გელფანდი (ისრაელი)
შაპრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)	0,5:0,5	იუდიტ პოლგარი (უნგრეთი)
ლუკ ვან ველი ჰოლანდია)	0:1	მაგნუს კარლსენი ნორვეგია)
პაველ ელიანოვი (უკრაინა)	0:1	ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)

სატურნირო ვითარება

1. მაგნუს კარლსენი	6,5	8. პეტერ ლეკო	5
2. ლევონ არონიანი	6	9. შაპრიარ მამედიაროვი	5
3. მაიკლ ადამსი	5,5	10. ვესელინ ტოპალოვი	5
4. ვიშვანათან ანანდი	5,5	11. იუდიტ პოლგარი	4,5
5. თეიმურ რაჯაბოვი	5,5	12. ლუკ ვან ველი	4
6. ვასილ ივანჩუკი	5,5	13. ბორის გელფანდი	3,5
7. ვლადიმირ კრამნიკი	5,5	14. პაველ ელიანოვი	3

პატარა ბიჭი ისევ თავშია
ადამსმა ნისლიდან გამოიხედა

ვეიკ ან ზეეში შეკრებილი სპეციალისტები გაოცებულნი არიან მაგნუს კარლსენის თამაშით და მას ლეგენდარულ ბობი ფიშერსაც ადარებენ. ნორვეგიელმა ვუნდერკინდმა მეათე ტურში შავი ფიგურებით ლუკ ვან ველი დაამარცხა და ერთპიროვნული ლიდერობა დაიბრუნა. მისმა კონკურენტმა ლევონ არონიანმა კი მაიკლ ადამსს გაუყო ქულა და მეორეზე ჩამოცურდა.

კარლსენმა დებიუტში ცუდად განავითარა ფიგურები, რამდენიმე შეცდომა დაუშვა და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჰოლანდიელმაც თამამად გააგრძელა თამაში, თუმც ამასობაში შავების მწვავე იერიში გამოეპარა და 49-ე სვლაზე ხელები ასწია.

ადამსი უკვე სერიოზულად ფიქრობს საპრიზო ადგილებზე. მთელი ტურნირის მანძილზე ალბიონელი სტაბილურად თამაშობდა, გრანდებთანაც თავი არ შეურცხვენია და აგერ წაუგებლად მავალი მესამე ადგილსაც უკაკუნებს.

არონიანთან ადამსის შეხვედრამ მშვიდად ჩაიარა, მეტოქეებმა 21-ე სვლა იჯახირეს და პარტია ყაიმით დაასრულეს.

წინ კიდე სამი ტურია, დღევანდელი ტურის მთავარი თამაში კი კარლსენ-ანანდის დპირისპირება იქნება.

ლაზა გეგეჭკორი

ბარის თხილამურობა

მსოფლიოს თასი. კენმორი. კანადა. 22-26 იანვარი

ვაცები

სპრინტი. 1,2 კმ. კლასიკური

1. ბიორნდ ნეისი (ნორვეგია); 2. ოლა ვიგენ ჰატესტადი (ნორვეგია); 3. ეიდარ რონინგი (ნორვეგია); 4. ანდერს გლოერსენი (ნორვეგია); 5. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია)

საერთო ჩათვლა

1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი)	816 ქულა
2. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია)	560
3. რენე ზომერფელდი (გერმანია)	527
4. აქსელ ტაიხმანი (გერმანია)	494
5. ჯორჯო დი ჩენტა (იტალია)	422

ქალები

სპრინტი. 1,2 კმ. კლასიკური

1. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია); 2. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია); 3. ჟუსტინა კოვალჩიკი (პოლონეთი); 4. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი); 5. პირიო მურანენი (ფინეთი)

საერთო ჩათვლა

1. შარლო კალა (შვედეთი)	795 ქულა
2. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)	755
3. არიანა ფოლისი (იტალია)	646
4. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია)	602
5. ჟუსტინა კოვალჩიკი (პოლონეთი)	578

ევროპის ჩემპიონატი. ზაგრები. ხორვატია 22-27 იანვარი

პირველი ოქრო გერმანელებისაა

ზაგრებში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მედლების პირველი კომპლექტი, ტრადიციულად, სპორტულმა წყვილებმა გაინაწილეს. გერმანელები ალიონა საჩენკო და რობინ შოლკოვი უკვე მოკლე პროგრამის შემდეგ დაწინაურდნენ და თავისუფალ პროგრამაში მათი უპირატესობა, უკვე უზარმაზარი იყო.

საბოლოო ჯამში გერმანულმა დუეტმა 202,39 ქულა დააგროვა და მთელი 33 ქულით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული მარია მუხორტოვასა და მაქსიმ ტრანკოვის (169,41) რუსული წყვილი. მესამე ადგილზეც რუსები იუკო კავაგუტი და ალექსანდრ სმირნოვი გავიდნენ 167,25 ქულით. არადა, მოკლე პროგრამის შემდეგ ეს წყვილი მეოთხე იყო და მცირედით ჩამორჩებოდა უკრაინელებს, ტატიანა ვოლოსოჟარსა და სტანისლავ მოროზოვს, მაგრამ თავისუფალ სრიალში უკრაინელებმა კონკურენციას ვეღარ გაუძლეს და მეოთხე ადგილზე დაიხიეს.

მოულოდნელი შედეგით დასრულდა კაცების მოკლე პროგრამა. ფავორიტებმა, ფრანგმა ბრაიან ჟუბერმა (75,25) და შვეიცარიელმა სტეფან ლამბელმა (71,78) პირველობა ახალგაზრდა ჩეხ ტომაშ ვერნერს (79,03) დაანებეს, თუმც თავისუფალი პროგრამის წინ გამარჯვების უმთავრეს კანდიდატად მაინც ჟუბერი მიიჩნევა.

საცეკვაო წყვილებში სავალდებულო ცეკვის შემდეგ ევროპის მარშანდელი ჩემპიონები, ფრანგები იზაბელ დელობელი და ოლივიე შონფელდერი ლიდერობენ. მეორეზე რუსები არიან — ოქსანა დომნინა, მაქსიმ შაბლინი და იანა ხოხლოვა, სერგეი ნოვიცკი.

აქვე გეტვყით, რომ ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 350 ათასი დოლარია. ერთეულთა შორის გამარჯვებულები 20-20 ათასს მიიღებენ, ხოლო მეორე და მესამე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 13-13 და 8-8 ათასს. წყვილებში ჩემპიონ დუეტებს 30-30 ათასი ერგებათ, ვერცხლის პრიზიორებს — 19,5-19,5 ათასი, ხოლო მესამეადგილოსნებს — 12-12 ათასი. უფულოდ, არც მეოთხედან მეთორმეტე ადგილის ჩათვლით გასული მოციგურავეები დარჩებიან.

ცაგურიას შვიდი და გორგაძის მეცხრე

ასასორიუ კვლავაც პირველობისთვის იბრძვის

26 წლის ქართველ სუმოისტს, ლევან ცაგურიას, დარჩენილი სამი ბრძოლიდან ერთის მოგებაც ეყოფა, რომ წოდებაში არ დაქვეითდეს.

გუშინ წლის პირველ სუპერტურნირზე, იანვრის ბაშოზე კოკიდ (შავი ზღვა) წოდებულმა ცაგურიამ იაპონელი იტიხარა წააქცია და 5 წაგების წილ 7 მოგება დაუგროვდა. დღეს კოკაი მე-10 მაეგაშირას ვაკანახის დაეჭიდება, რომელიც ქართველს ერთი მოგებით უსწრებს და ფავორიტიც ისაა.

იანვრის ბაშოს დასრულებამდე სამი დღე დარჩა. უმაღლეს დივიზიონს ორი მონღოლი, ორივე იოკუძუნა, ჰაკუხო და ასასორიუ ლიდერობთ. ორივეს ბალანსი 12:1-ია. მათ ერთი წაგებით ჩამორჩება აღმოსავლეთის მე-8 მაეგაშირა კაკირიუ, რომელსაც ძალიან კარგი სეზონი აქვს და რეიტინგშიც აუცილებლად დაწინაურდება.

რანგით მეორე დივიზიონ ძურიოში, ზედიზედ მესამე ბრძოლა მოიგო 20 წლის ქართველმა დებიუტანტმა ლევან გორგაძემ. მან 23 წლის 183-სანტიმეტრიანი და 111-კილოგრამიანი მონღოლი ჰოშიჰიკარი წააქცია და მეორე დივიზიონს ერთპიროვნულად ლიდერობს. გორგაძეს შანსი აქვს, მეორე დივიზიონის ჩემპიონი გახდეს, ამისთვის მას დარჩენილი სამი ბრძოლიდან ორის მოგება ეყოფა. ერთი კია, ტოჩინიშინად წოდებულმა ქართველმა სამივე ბრძოლა რომც მოიგოს, უმაღლეს დივიზიონში მაინც ვერ გადავა, რადგან ერთი გამარჯვება დააკლდება. ტონინიშინას ბალანსი ახლა 9-3-ია, უამაღლეს დივიზიონში გადასასვლელად კი 13 მოგებაა საჭირო.

გაჩო სვანიძე

ცოდვებს ნუ მომკითხავთ!

ოსალივანი ექვს ერს ებღაუჭება

ექვსი ერის მოახლოებასთან ერთად, სარაგბო ევროპაც აფუსფუსდა. ტურნირში მონაწილე ნაკრებების საქმიანობას ჟურნალისტები ამზეურებენ. ჰოდა, ირლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ედი ოსალივანს 2007 წლის მსოფლიოს თასზე ჩადენილი ცოდვები გაუხსენეს და მის საქმიანობას მომავალშიც სკეპტიკურად უყურებენ. ოსალივანი კი ამბობს, ვინც რა უნდა ის თქვას, მე ჩემს საქმეს გავაკეთებო.

„ვიცი, ვისაც არ ეზარება, ყველა კრიტიკის ქარცეცხლში მატარებს, განსაკუთრებით, ჩვენთვის უფერული მსოფლიოს თასის შემდეგ. ყოველივე ამის გამო დიდ ზეწოლას განვიცდი. იმასაც ვხვდები, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი მაქვს, მაგრამ რადგან მოვლენები ასე განვითარდა, არ იფიქროთ, თითქოს მე ველოსიპედის გამოგონებას დავიწყებ. საერთო ჯამში ეს ვერ შეუშლის ხელს ჩემს სამუშაო მანერას. იმასვე გავაკეთებ, რასაც ყოველდღე ვაკეთებ. წარსულში ნულარ გავიხედავთ. ირლანდია ცუდი გუნდი უცებ არ გამხდარა. მოდით, თავი დავანებოთ წუწუნს. წინ ექვსი ერია და შანსი იმისა, რომ შეცდომები გამოვასწოროთ“ — განაცხადა ოსალივანმა.

ზურაბ მიგრიაული

დალალიომ, კიპრიანიზე ალალიარ

ინგლისური პრესა გადარეულია დენი კიპრიანიზე. ახალგაზრდა ვარსკვლავი მსოფლიოში გამორჩეულ თითქმის ყველა მის თანაამპლუელს შეადარეს. მოკლედ, ამბობენ, რომ ახალი უილკინსონია, ოღონდ უფრო უნივერსალური.

ამას დაერთო კიპრიანის თანაკლუბელის, წარსულში „ვარდების“ მეგავარსკვლავის ლოურენს დალალიოს კომენტარი, რომელიც დამდეგ ექვს ერზე ინგლისის ნაკრების პერსპექტივებს შეეხებოდა.

— კიპრიანის ცოდნა და პოტენციალი, ჩემი აზრით, გასაოცარია. მართალია, ჯონი უილკინსონს შემადგენლობიდან არავინ ამოაგდებს, მაგრამ დენისთვის ძირითადში ადგილი აუცილებლად უნდა მოინახოს. მე რომ ნაკრების მწვრთნელი ვიყო, მას მცველადაც ვათამაშებდი. არ ვიცი, რას ფიქრობენ ჩვენი ნაკრების სელექციონერები, მაგრამ ის კი ვიცი, რომ დენის მოწინააღმდეგედ ყოფნას არ ვისურვებდი. მას გასაოცარი ტემპის აკრეფა შეუძლია და უზუსტესად თამაშობს ფეხით. მიუხედავად ასაკისა, ცივსისხლიანი მორაგბეა. 2007 წლის ჰაინეკენის თასის ფინალში ჩვენი ბედი სწორედ მას მივანდეთ და გაამართლა კიდეც. მწვრთნელმა დენისთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა განიხილოს სხვადასხვა ვარიანტი — ამბობს ლოურენს დალალიო.

ზურაბ მიგრიაული

ჰოკეი



რეგულარული ჩემპიონატი

23 იანვარი

ტორონტო 3:2 ვაშინგტონი

1:0 1:1 1:1

1:0 კილგერი (8), 1:1 ოვეჩკინი (23), 2:1 სტინი (39), 2:2 სიომინი (54), 3:2 სუნდინი (60)

ანაჰაიმი 1:2 დეტროიტი

0:1 0:1 1:0

0:1 რაფალსკი (12), 0:1 ფილპულა (28), 1:2 პრონგერი (49)

ვანკუვერი 3:2 სენტ ლუისი

1:1 0:1 1:0 0:0 (1:0 გულიტეგით)

0:1 კინგი (12), 1:1 ელუნდი (19), 1:2 ბოისი (22), 2:2 ელუნდი (42)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge